



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ინკლუზიური პროფესიული
განათლების წარმატებული
გამოცდილება

2017 წ.

„ინკლუზიური პროფესიული განათლების წარმატებული გამოცდილება“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ხუთი ადამიანის პროფესიული განათლების რეალურ ისტორიებს აღწერს, რომლებშიც განათლების პროცესში გაწეული მხარდაჭერის სხვადასხვა ასპექტია ასახული.

აღნიშნულ შემთხვევებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰქონდა ადგილი; სტუდენტებისთვის გაწეული მხარდაჭერისა და ინფორმაციის მოწოდებისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ პროფესიულ სასწავლებლებს:

სსიპ პროფესიული კოლეჯი "მოდუსი"
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"
სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი"
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "იბერია"
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი"

ელექტრონული პუბლიკაციისთვის „ინკლუზიური პროფესიული განათლების წარმატებული გამოცდილება“ შემთხვევების მომზადებაზე მუშაობდნენ:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები:

თეონა გავაშელიშვილი
ნინო უღრელიძე
თამარ მახათაძე
თამარ სალინაძე
მაია ჯავახიშვილი

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები:

ინგა ლომთათიძე
ნაზი ვარდოსანიძე
რუსუდან ქურასბედიანი

წინასიტყვაობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა, 2013 წელს ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით დაიწყო.

2013 წლიდან მოყოლებული, ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, როგორცაა: პროფესიული ტესტირების ალტერნატიული მიდგომის შემუშავება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური მხარდაჭერი სერვისის დამკვიდრება (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, გადაადგილებაში მხარდაჭერი, ჟესტური ენის თარჯიმანი და სხვა), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესით, დამხმარე სასწავლო მასალა/აღჭურვილობითა და ადაპტირებული გარემოთი უზრუნველყოფა და სხვა.

შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა განსხვავებული საჭიროებისა და შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო გარემო და პროცესი ბევრად უფრო მრავალფეროვანი გახდა.

ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში დაგროვილმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ პროფესიულ განათლებაში ხელშეწყობილი მონაწილეობა, არა მხოლოდ კონკრეტული პროფესიული კომპეტენციების შეძენის შესაძლებლობას და დასაქმების პერსპექტივას უქმნის პიროვნებას, არამედ, დიდწილად განაპირობებს

სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში თანამონაწილეობისთვის აუცილებელი უნარებით აღჭურვასა და პიროვნების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას.

ამასთანავე, გამოცდილებამ აჩვენა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული განათლების ხელშეწყობა, თავის თავში მრავალ ასპექტს მოიცავს, რაც ხშირად, სტანდარტულიდან - არასტანდარტულ ხედვაზე გადასვლას მოითხოვს.

და ბოლოს, 2013-2017 წლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ალტერნატიული ტესტირების საშუალებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 929 პირი ჩაირიცხა, რაც 929 ინდივიდუალურად მორგებულ და სპეციფიკურად მხარდაჭერილ სასწავლო პროცესს მოითხოვს, იმისათვის, რომ თითოეული სტუდენტისთვის პროფესიული განათლების პროცესი წარმატებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებად იქცეს.

მაია წულაძე

ქვე-პროგრამის „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე“ კოორდინატორი

ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო

შემთხვევა N1



*ინკლუზიური პროფესიული განათლება - გზა
დასაქმებისკენ*

შემთხვევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვიდან დასაქმებამდე განვლილ გზას აღწერს.

თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური განსხვავებულობის გათვალისწინებით, სპეციალისტებისა და პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაციის ეფექტური და კოორდინირებული მუშაობით, სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მათზე მორგებულ სასწავლო გარემოში წარმატებით დაეუფლონ სასურველ პროფესიას, რომელიც შემდგომ მათი დასაქმებისა და დამოუკიდებლობის გარანტიად იქცევა.

ზოგადი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ

ლიკა¹, 27 წლის. მზარეულის პროფესიას დაეუფლა ერთ-ერთი რეგიონის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ლიკას სმენის ნეიროსენსორული დარღვევა აქვს. პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვამდე, მან სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლა დაასრულა.

კოლეჯის შესახებ ლიკამ მეგობრებისაგან გაიგო, რომლებსაც უკვე დასრულებული ჰქონდათ სხვადასხვა პროფესიული პროგრამა. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისვლამდე ლიკა მრავალფეროვანი ინტერესებით გამოირჩეოდა: მოსწონდა სახლში კერძების მომზადება, ნამცხვრის ცხობა, ქსოვა და კომპიუტერზე Photoshop-ის (ფოტოშოპი) პროგრამაში მუშაობა.

კომუნიკაციური და სამეტყველო უნარების შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ ლიკა კომუნიკაციას ძირითადად ვერბალურად, ზეპირი მეტყველების საშუალებით ამყარებდა; იყენებდა მოკლე და მარტივ წინადადებებს, ბგერათა უმეტესობას

¹ კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, სტუდენტის სახელი შეცვლილია

სწორად წარმოთქვამდა, თუმცა როდესაც სწრაფად მეტყველებას ცდილობდა, მისი საუბარი მსმენელისთვის გაუგებარი რჩებოდა. სხვების მეტყველების გაგებას ლიკა ბაგეებიდან ამოკითხვით ცდილობდა, თუმცა უჭირდა შედარებით რთული და გრძელი წინადადებების და რამდენიმე საფეხურიანი ინსტრუქციების გაგება. ლიკა ნაკლებად იჩენდა კომუნიკაციის ინიციატივას და ძირითადად დედის დახმარებით ცდილობდა მისთვის სასურველი ინფორმაციის მოპოვებას. ამასთანავე, ლიკას ჰქონდა ჟესტური ენის მწირი მარაგი.

რაც შეეხება აკადემიურ უნარებს, ლიკამ გამოავლინა მარტივი ერთაზნაობიანი ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვისა და გაგების უნარი. გართულებული იყო პროფესიული ტერმინებისა და ტექსტების გაგება-გააზრება.

ვიზიტი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში

პროფესიულ კოლეჯში ლიკა პირველად დედასთან ერთად მივიდა. ვიზიტს გაცნობითი ხასიათი ჰქონდა; საწყის ეტაპზე, მშობელმა აიღო ინიციატივა ესაუბრა ლიკას შესახებ. შემდეგ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები შეეცადნენ აპლიკანტთან პირადად დაემყარებინათ კომუნიკაცია, თუმცა მშობელმა მაშინვე აღნიშნა, რომ „ლიკა ძალიან მორიდებულია, უჭირს უცხო ადამიანებთან კომუნიკაცია და თავად ვერ მოყვება საკუთარ თავზე“. პასუხად, კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტმა სცადა განემარტა მშობლისთვის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აპლიკანტის მიერ პერსონალური ინფორმაციის გადმოცემას საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, რამაც მნიშვნელოვნად გაუადვილა აპლიკანტს მისთვის უცხო ადამიანებთან ინტერაქციაში შესვლა. კოლეჯის სპეციალისტები ცდილობდნენ კომუნიკაციის მორგებას ლიკას საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, რაც საუბრის შედარებით ნელ ტემპში, მოკლე წინადადების გამოყენებასა და ლიკას პირისპირ განთავსებაში

გამოიხატებოდა. ლიკა წარმოთქმულ სიტყვებს ბაგეებიდან კითხულობდა და მოკლედ და გასაგებად პასუხობდა დასმულ შეკითხვებზე.

გაცნობითი ვიზიტის შემდეგ, დაიგეგმა მომდევნო ნაბიჯები, მათ შორის აპლიკანტისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული პროფესიების გაცნობა, რაც ძირითადად სხვადასხვა სახელოსნოში პრაქტიკულ აქტივობებზე დასწრების და მიღებულ გამოცდილებაზე რეფლექსიის საშუალებით განხორციელდა.

მას შემდეგ, რაც ლიკას წარმოდგენა შეექმნა პროფესიულ სასწავლებელში არსებული პროფესიების შესახებ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ხელშეწყობით მან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისთვის საჭირო შემდეგი პროცედურები გაიარა:

- არსებულ პროფესიულ პროგრამებს შორის სასურველი პროფესიის შერჩევა;
- სასურველ პროფესიულ პროგრამაზე რეგისტრაცია;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის განსაზღვრული ალტერნატიული ტესტირების გავლა.

ალტერნატიული პროფესიული ტესტირება

მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციის დროს ლიკას მისთვის საინტერესო სამი პროფესიის მონიშვნა შეეძლო, გამომდინარე იქიდან, რომ მას გავლილი ჰქონდა პროფესიული ორიენტაციის პროცესი, მხოლოდ ერთ - მზარეულის პროფესიაზე შეაჩერა არჩევანი.

რეგისტრაციის შემდეგ ლიკასთვის ალტერნატიული პროფესიული ტესტირების დაგეგმვა დაიწყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ: პროფესიული მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი და ჟესტური ენის თარჯიმანი.

განისაზღვრა ალტერნატიული პროფესიული ტესტირების აქტივობა, ამ აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო დრო, ჩატარების ადგილი, ტესტირებისათვის საჭირო მასალები და ხელსაწყოები.

ლიკამ ალტერნატიულ პროფესიულ ტესტირებაზე მასწავლებლის ინსტრუქციის მიხედვით მოამზადა სალათი „ოლივიე“. ტესტირებისას მასწავლებელი აპლიკანტს აძლევდა ვერბალურ ინსტრუქციებს და ასევე, ახდენდა თითოეული აქტივობის მოდელირებას. საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმანი ჟესტურ ენაზე თარგმნიდა პროფესიული მასწავლებლის ინსტრუქციებს.

ალტერნატიული ტესტირების დასრულების შემდეგ, ლიკამ აღნიშნა, რომ ძალიან მოეწონა მთლიანი პროცესი, არ გაუჭირდა არც ერთი დავალების შესრულება და მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება - შეესწავლა მზარეულის პროფესია.

პროფესიული კოლეჯის მიერ განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოები

პროფესიულმა კოლეჯმა ახალი სტუდენტის მიღებისთვის მზადება ალტერნატიული ტესტირების დასრულებისთანავე დაიწყო.

სწავლის დაწყებამდე შეიკრიბა კოლეჯის მულტიდისციპლინარული გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა: ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, ლიკას ყველა მომავალი მასწავლებელი, ჟესტური ენის თარჯიმანი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

შეხვედრის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ, დეტალურად განიხილეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასების დასკვნა, რომელიც ლიკას აკადემიური, შემეცნებითი და სხვადასხვა ფუნქციური სფეროს ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს აღწერდა და ასევე, სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს მოიცავდა.

შეხვედრის თითოეულმა მონაწილემ გამოთქვა საკუთარი ხედვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ შესაძლო გამოწვევებსა და მათთან ეფექტური გამკლავების სტრატეგიებზე. მაგალითად, თეორიული საგნების მასწავლებლები შიშობდნენ, რამდენად შეძლებდა ლიკა მიმართული მეტყველების გაგების სირთულისა და შედარებით მწირი ლექსიკური მარაგის გამო, სასწავლო პროცესში გამოყენებული პროფესიული ტერმინებისა და ტექსტების გაგებას.

კოლეჯის ინკლუზიური განათლების შიდა გუნდმა, მასწავლებლებთან შეხვედრის შედეგების გათვალისწინებით, მოამზადა და ყველა პედაგოგს მიაწოდა რეკომენდაცია, თუ როგორ წარემართათ სალექციო პროცესი, რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ნაყოფიერი ყოფილიყო სმენის სირთულეების მქონე სტუდენტისათვის:

- ✓ საუბრისას და ინფორმაციის გადმოცემისას, იდგნენ ლიკას პირისპირ და მისცნ ბაგეებზე თვალის დევნების შესაძლებლობა;
- ✓ ეცადონ, რომ სახე საუბრისას არ იყოს დაფარული და სწორად ეცემოდეთ განათება;
- ✓ შეურჩიონ ლიკას შესაბამისი განთავსება, მასწავლებელთან ახლოს, წინა მხრიდან (მასწავლებლის სახის დანახვის შესაძლებლობით) და სწორი განათების გათვალისწინებით;
- ✓ ისაუბრონ „ყვირილის“ გარეშე, რადგან ყვირილით საუბარი ლიკას ინფორმაციის აღქმაში არ ეხმარებოდა;

- ✓ ოდნავ შეანელონ საუბრის ტემპი, თუმცა ისაუბრონ ბუნებრივად, მეტყველების დანაწევრების გარეშე;
- ✓ როდესაც ლექციაზე შემოდის ახალი ტერმინები, წინასწარ მისცენ ლიკას ახალი ტერმინების გაცნობის შესაძლებლობა; წინასწარ გააცნონ ახალი ტერმინები ჟესტური ენის თარჯიმანს, რომ საგაკვეთილო პროცესამდე თარჯიმანმა ჟესტურ ენაზე მოამზადოს ახალი პროფესიული ტერმინები და ა.შ. (იხ: დანართი N1)

სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, კოლეჯმა დაიქირავა ჟესტური ენის თარჯიმნი. გამომდინარე იქიდან, რომ ლიკას ჰქონდა სიტყვების მწირი მარაგი, რაც შემდგომში მნიშვნელოვნად გაართულებდა მისთვის მიწოდებული თეორიული მასალის გაგებას, დაიგეგმა ამ მიმართულებით სტუდენტის უნარების გაუმჯობესებისთვის საჭირო აქტივობები. კერძოდ, ჟესტური ენის თარჯიმანი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად, ლიკასთვის წინასწარ ამზადებდა ახალი სიტყვების შესაბამის სურათებს და სასწავლო პროცესს მიღმა გარკვეულ დროს უთმობდა სტუდენტის ლექსიკური მარაგის გაზრდაზე მუშაობას. მასწავლებლები წინასწარ აწვდიდნენ თარჯიმანს უცხო სიტყვათა ჩამონათვალს ისე, რომ ლიკა მომზადებული, განახლებული სიტყვათა მარაგით შედიოდა ლექციაზე.

სწავლის დასაწყისში, ლიკა მხოლოდ თარჯიმანთან ამყარებდა კომუნიკაციას, უჭირდა ჯგუფელებთან ურთიერთობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თარჯიმანს მიეცა რეკომენდაცია, სასწავლო და არა სასწავლო პროცესშიც, ნებისმიერი ფორმალური, თუ არაფორმალური ინფორმაცია ეთარგმნა ლიკასათვის. ეს საშუალებას მისცემდა მას უკეთესად აღექვა კონტექსტი და ის მოვლენები, რაც მის ირგვლივ ხდებოდა.

ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პროფესიული სასწავლებლის თემის მომზადება და სტუდენტთა

ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა. ამ მიზნით, ინკლუზიური განათლების შიდა გუნდმა გააკეთა მცირე პრეზენტაცია ინკლუზიური განათლების გუნდის ფუნქციების, ინკლუზიური განათლების არსის და სმენის შეზღუდვის მქონე ადამიანებთან ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიების შესახებ. ამასთანავე, ინფორმაციის მიწოდება წერილობით ფორმითაც მოხდა; სტუდენტებს საინფორმაციო ფურცელი დაურიგდათ. აღნიშნული პროცედურის შემდეგ, ლიკას ჯგუფელების ნაწილმა თავისი სურვილით ისწავლა გარკვეული ქესტები და თარჯიმნის გარეშე შეძლო ლიკასთან ყოველდღიურ თემებზე კომუნიკაცია.

სასწავლო პროცესი

სწავლის დაწყების პირველივე კვირას, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი ესწრებოდნენ ლიკას სასწავლო პროცესს; აკეთებდნენ ფონურ დაკვირვებას და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით აძლევდნენ მასწავლებლებს უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. ძირითად სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ ლიკას ჩართულობის ხარისხი სალექციო პროცესში იყო დაბალი, რაც შესაბამისი სასწავლო სტრატეგიებისა და თვალსაჩინოებების გამოყენების სიმცირით იყო გამოწვეული. ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი ლიკას მხარდაჭერას უწევდნენ თეორიული საგნების დროს, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: ტესტების ადაპტირება (ღია კითხვების დახურვა; ტესტში არსებული რთული ტერმინების შეცვლა მარტივით და სხვა), თვალსაჩინოებებით უზრუნველყოფა (ბარათები და თვალსაჩინო რეცეპტები. მაგალითები იხ. დანართში N 2, და დანართში N 3), თეორიული სასწავლო მასალების ათვისებაში დახმარება (იხ. დანართი N 4).

აღსანიშნავია, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, ლიკა მშობელს დაჰყავდა პროფესიულ სასწავლებელში და ასევე, აკითხავდა ლექციების შემდეგ. თუმცა, ერთ-

ერთ მნიშვნელოვან მიზნად ინკლუზიური განათლების გუნდმა ლიკას დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა დაისახა, რისთვისაც მნიშვნელოვანი იყო მას დამოუკიდებლად მოეხერხებინა ტრანსპორტირება სახლიდან პროფესიულ კოლეჯამდე და პირიქით, კოლეჯიდან სახლში. შესაბამისი დაგეგმვისა და გაწეული ხელშეწყობის შედეგად, ლიკამ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, დამოუკიდებლად დაიწყო პროფესიულ სასწავლებელში სიარული.

წინასწარ განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოების, სასწავლო პროცესში ჩართვის ეფექტური სტრატეგიების გამოყენებითა და ლიკას უნარების გაუმჯობესებაზე მიმართული აქტივობების განხორციელების შედეგად, ლიკა გახდა უფრო გახსნილი ურთიერთობებში, მონაწილეობას იღებდა კოლეჯის ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში, რაც თავის მხრივ პოზიტიურად აისახა სწავლის მოტივაციაზე.

ლიკამ პროფესიულ კოლეჯში ბევრი მეგობარი შეიძინა, რომლებთან ერთადაც ის დადიოდა ექსკურსიებზე, სხვადასხვა გასართობ ღონისძიებაზე. ამასთანავე, გაიზარდა ლიკას აკადემიური მოსწრებაც და სწავლის დასასრულს, მას მზარეულის პროფესიის მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილი გაუჩნდა.

განსაზღვრული პროცედურების გავლის შემდეგ, ლიკამ სწავლა განაგრძო პროფესიული განათლების მესამე საფეხურზე, რამაც მას უცხოური სამზარეულოს შესწავლის შესაძლებლობა მისცა. მესამე საფეხურზე სწავლისას, ლიკას მხოლოდ მცირედი მხარდაჭერა დასჭირდა უცხოურ სამზარეულოსთან დაკავშირებული ტერმინების გაგება-შესწავლაში. სწავლის დასასრულს, ლიკამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი აიღო.

საწარმოო პრაქტიკა

პროფესიულ კოლეჯში სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საწარმოო პრაქტიკაა.

წარმატებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო პერიოდის შემდეგ, კარიერის მენეჯერისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ ლიკასთვის სამეწარმეო პრაქტიკის ობიექტად რეგიონში კლიენტების სიმრავლით გამორჩეული ერთ-ერთი ცნობილი რესტორანი შეირჩა.

საწარმოო პრაქტიკის პროცესის დაწყების წინ, ინკლუზიური განათლების გუნდმა წინასწარ განახორციელა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე. ვიზიტის დროს შეფასდა რესტორნის ფიზიკური გარემო; განისაზღვრა, რა გამოწვევები შეიძლება ჰქონოდა ლიკას პრაქტიკული მუშაობის პროცესში. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, მოხდა რესტორნის თანამშრომლების კონსულტირება სმენის სირთულის მქონე ადამიანთან კომუნიკაციის თავისებურებების და ეფექტური კომუნიკაციის წარმართვის სტრატეგიების შესახებ.

პრაქტიკის პერიოდში ლიკა აქტიურად იყო ჩართული პროცესში, გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობის გრძნობით, ზედმიწევნით ასრულებდა ყველა დავალებას. გარდა პროფესიული უნარ-ჩვევებისა, ლიკა ადვილად შევიდა თანამშრომლებთან ინტერაქციაში; ისე, რომ ქესტური ენის თარჯიმნის გარეშეც შეძლო სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარება.

ლიკას მიერ სასწავლო პროცესში გამოვლენილი პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ, დაიგეგმა პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფის შემდგომი ნაბიჯები. ამ მიზნით, პროფესიულმა კოლეჯმა პარტნიორ ორგანიზაციებთან დაიწყო მოლაპარაკებების წარმოება, რომლის შედეგად მოხდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის-

ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის აქტიური ჩართვა აღნიშნულ პროცესში, რამაც ლიკასთვის სტაჟირების პერიოდის სამი თვით გახანგრძლივების შესაძლებლობა შექმნა. დამატებითი პერიოდის მანძილზე, ლიკას ხელფასის სუბსიდირება ხდებოდა აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. დროთა განმავლობაში, ლიკა კიდევ უფრო იმაღლებდა საკუთარ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ხოლო ანაზღაურებამ კიდევ უფრო აამაღლა მისი მუშაობის მოტივაცია.

მომდევნო სამი თვის განმავლობაში, ლიკა ზედმიწევნით კარგად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და შედეგად, დამსაქმებელმა მისი სამსახურში დაქირავება გადაწყვიტა, სადაც ის დღემდე მუშაობს. მნიშვნელოვანია, რომ ლიკას ძალიან მოსწონს საქმე, რომელსაც ასრულებს და მუდმივად ცდილობს საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევების შემდგომ განვითარებას.

რომ შევაჯამოთ, ლიკასთვის პროფესიულ კოლეჯში სწავლა, ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების დასაწყისი აღმოჩნდა.

გარდა იმისა, რომ კოლეჯის სპეციალისტების და მასწავლებლების კოორდინირებული მუშაობის და შესაბამისი მხარდაჭერის შედეგად, მან სასურველი პროფესიის დაუფლება შეძლო, ასევე, დასაქმდა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მეგობრების წრე გაიფართოვა, საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობები აღმოაჩინა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად მეტი დამოუკიდებლობა შეიძინა.

დანართები

დანართი N1

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

- შესთავაზეთ ლიკას წინა რიგში განთავსება, თუ ოთახში მაგიდების განლაგება არ არის წრიული. თუმცა, სასურველია, რომ ოთახში მაგიდების განლაგება იყოს ნახევრად წრიული, რაც ლიკას როგორც მასწავლებლის, ასევე დანარჩენი სტუდენტების დანახვის და მათ საუბარზე თვალის მიდევნების საშუალებას მისცემს. მიეცით სტუდენტს შესაძლებლობა, თავად აირჩიოს მისთვის ყველაზე მოსახერხებელი ადგილი.
- ლიკა, ძირითადად, მოსაუბრის ტუჩებზე დაკვირვებით იგებს მიმართულ საუბარს; შესაბამისად, სანამ საუბარს დაიწყებთ, დარწმუნდით, რომ სტუდენტი გიყურებთ. სტუდენტის ყურადღების მოსაპოვებლად შესაძლებელია მხარზე შეხება, ან ხელის დაქნევა.
- სასწავლო პროცესის დროს, ეცადეთ, რომ ყოველთვის სტუდენტის პირისპირ იდგეთ. მაშინაც კი, როდესაც ჟესტური ენის თარჯიმანი გესწრებათ და თარგმანს ახორციელებს.
- ეცადეთ, რომ სახე საუბრისას არ იყოს დაფარული და ამასთანავე, გაითვალისწინეთ განათება - მიაქციეთ ყურადღება, რომ სახე არ იყოს დაჩრდილული (მაგ.: თუ განათებული ფანჯრისკენ ზურგით დგახართ, თქვენ სახეზე, დიდი ვარაუდით, ჩრდილი იქნება).
- ისაუბრეთ ყვირილის გარეშე, გამოიყენეთ ბუნებრივი მეტყველება, თუმცა - საუბრის შედარებით ნელი ტემპი. სასურველია, საუბრის ტემპი თავად სტუდენტთან შეათანხმოთ.
- ეცადეთ, საუბრისას არ იმოძრაოთ ოთახში, არ აბრუნოთ თავი და არ იყოთ დაფისკენ შებრუნებული.
- გახსოვდეთ, როდესაც დაფაზე წერის პარალელურად საუბრობთ, ამ დროს თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია ლიკასთვის გაუგებარი რჩება.

- ამასთანავე, სმენის შეზღუდვის მქონე პირისთვის რთულია, თვალი ადევნოს რაიმე მოქმედებას და იმავდროულად მასწავლებელს და/ან თარჯიმანს უყუროს. თუ აღნიშნული მოქმედებები დროში ერთად ხდება, სმენის შეზღუდვის მქონე სტუდენტი, რომელიმე მათგანს ყურადღების მიღმა ტოვებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ლექციისას სხვადასხვა მოქმედება დროში იყოს გადანაწილებული, მაგალითად: ვერბალურად მიაწოდოთ ინფორმაცია, შემდეგ მოახდინოთ დემონსტრირება, ან დაწეროთ ინფორმაცია დაფაზე, ან აჩვენოთ ვიდეო/პრეზენტაცია და შემდეგ კვლავ ვერბალურად მიაწოდოთ ინფორმაცია.
- მიაქციეთ ყურადღება, რომ მასწავლებელიც და სტუდენტებიც დისკუსიის დროს მონაცვლეობით საუბრობდნენ და - არა ერთდროულად, რომ ლიკამ ყველა მოსაუბრეზე შეძლოს თვალის მიდევნება. სასურველია, ლიკას მიანიშნოთ, თუ რომელი სტუდენტი საუბრობს, რომ მასზე ყურადღების გადატანა შეძლოს.
- იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული ინფორმაცია სტუდენტისთვის გაუგებარი რჩება, შეეცადეთ გააკეთოთ პერიფრაზირება და/ან განსხვავებულად აუხსნათ.
- მნიშვნელოვანია, რომ ჟესტური ენის თარჯიმანმა სასწავლო პროცესში არა მარტო მასწავლებლის საუბარი თარგმნოს, არამედ - სხვა სტუდენტების პასუხები, მოსაზრებები, კომენტარები და მიმდინარე დისკუსიები.
- დარწმუნდით, რომ სტუდენტმა გაიგო სხვა სტუდენტების გამოთქმული მოსაზრებები, პასუხები, კომენტარები. ამისათვის, თავად გაიმეორეთ კომენტარები, რომელიც უკანა რიგებში მსხდომმა სტუდენტებმა გააკეთეს და ასევე, აღნიშნეთ თუ ვისი კომენტარი იყო. ეს დაეხმარება სტუდენტს ჩართული იყოს დისკუსიის პროცესში.
- ვიდეომასალის და პრეზენტაციების გამოყენებისას, სასურველია თანდართული იყოს სუბტიტრები ან/და თარგმანი ჟესტურ ენაზე.
- ვიდეომასალის ჩართვამდე, წინასწარ გააფრთხილეთ სტუდენტი და მიაწოდეთ მოკლე ინფორმაცია, თუ რას ეხება მასალა.
- ღია კითხვებით გადაამოწმეთ, თუ რამდენად გაიგო სტუდენტმა კონკრეტული მასალა.
- როდესაც ლექციაზე შემოდის ახალი ტერმინები, სასურველია მათი დაფაზე დაწერა და ამასთანავე, ჟესტური ენის თარჯიმანთან ტერმინების წინასწარ გავლა.

- გახსოვდეთ, რომ სმენის შეზღუდვის მქონე პირი ვერ ახერხებს ერთდროულად ჩანაწერის გაკეთებას და ლექციისთვის/მასწავლებლისთვის/თარჯიმნისთვის თვალის მიდევნებას. პრეზენტაციის გაშვებისას, მიეცით ლიკას დრო, რომ წაიკითხოს მასალა და შემდეგ დაიწყეთ მისი ახსნა, ან პირიქით.
- პრაქტიკული დავალების შესრულებისას არ დაუდგეთ სტუდენტს უკანა მხრიდან.
- სასწავლო პროცესში გაითვალისწინეთ, რომ სმენის დარღვევის მქონე პირებს, რომლებიც ინფორმაციის მიღებისას, ძირითადად, ვიზუალურ არხს ეფუძნებიან, საკმაოდ დიდი ძალისხმევა ესაჭიროებათ და შესაძლოა უფრო სწრაფად იღლებოდნენ, ვიდრე სხვა სტუდენტები. ამიტომ, მიეცით ლიკას მცირე შესვენებების გაკეთების შესაძლებლობა.
- მიაწოდეთ წასაკითხი მასალა სწავლის დაწყებამდე სამი, ან ორი კვირით ადრე.
- სასურველია, ახალი თემის ახსნა დაყოთ პატარა ნაწილებად (მაგ.; მიმოიხილეთ წინა ლექცია, მოახდინეთ პრაქტიკული ჩვენება და სხვა).
- გამოიყენეთ რაც შეიძლება მეტი დემონსტრირება და ვიზუალური მასალა, როგორიცაა პლაკატები, სურათები, დიაგრამები და სხვა.
- მაშინაც კი, როდესაც ოთახში თარჯიმანია, უყურეთ და ესაუბრეთ ლიკას და არა - თარჯიმანს.
- რაც მთავარია გახსოვდეთ, რომ სასწავლო პროცესში ლიკასთვის განხორციელებული მორგებები, სარგებლის მომტანია სხვა დანარჩენი სტუდენტებისთვისაც!

დანართი N 2 სასწავლო პროცესში გამოყენებული ვიზუალური მასალის
მაგალითი



დანართი N 3 სასწავლო პროცესში გამოყენებული ვიზუალური მასალის
მაგალითი

კიტრის და პომიდვრის სალათა ნიგვზით



საჭირო ინგრედიენტები (შემადგენელი ელემენტები)

1 პორცია:

2 ცალი პომიდორი



2 ცალი პატარა კიტრი



1 თავი მწვანე, ან წითელი ხახვი



ცოტაოდენი გატარებული ნიგოზი



1 კბილი ნიორი



1 ჩ/კ დაჭრილი მწვანე წიწაკა



1 ს/კ წითელი ღვინის ძმარი




ცოტაოდენი ქინძის და რეჰანის ფოთლები



ცოტაოდენი მწვანე ხახვი



$\frac{1}{3}$ ჭიქა წყალი



მარილი (გემოვნებით)



საჭირო მოწყობილობები:



დასაჭრელი დაფა



დანა



სასალათე თასი



ნიგოზის გასატარებელი



სამზარეულოს კომბაინი

მომზადების საფეხურები:

- დაჭერით პომიდორი და კიტრი და მოათავსეთ სასალათე თასში;
- სამზარეულოს კომბაინში ათქვიფეთ გატარებული ნიგოზი, ნიორი, ქინძი, მარილი და დაუმატეთ ძმარი და წყალი. უნდა მიიღოთ თხელი მასა;
- მოასხურეთ მიღებული ნარევი სალათას და კარგად აურიეთ;
- მორთეთ მწვანე ხახვითა და დაჭრილი რეჰანით.

დანართი N 4 სტუდენტისთვის მომზადებული პრეზენტაციის მაგალითი

სამეწარმეო საქმიანობა



განმარტება:

• **სამეწარმეო საქმიანობა** - საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად ან ორგანიზებულად

(„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1).

• **მეწარმე-პირი**, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს; სამრეწველო ან სავაჭრო საწარმოს მფლობელი

როდესაც ბაზარზე ფასი იზრდება რაიმე პროდუქტზე, მასზე მოთხოვნა მცირდება

თუ მოიმატებს ფქვილის და ყველის ფასი, უფრო ძვირი დაჯდება ხაჭაპურის მომზადება



თუ ხაჭაპურის გამოცხობა მეწარმეს ძვირი დაუჯდება, იგი ნაკლებ ხაჭაპურს გამოაცხობს. ანუ, ხაჭაპურის მიწოდება შემცირდება


საცხობში უფრო მეტი ხაჭაპურის გამოცხობა შესაძლებელია, როცა ხაჭაპურის ცომს საზელი აპარატით ამზადებენ

თუ ბაზარზე ფუნთუშა ცუდად იყიდება, მეწარმე გამოაცხობს ნამცხვარს და ნამცხვრის მიწოდება გაიზრდება, ხოლო ფუნთუშის - შემცირდება.



აღდგომის დღესასწაულისთვის მოსალოდნელია კვერცხზე მოთხოვნის გაზრდა; მეწარმე მეტ კვერცხს გაიტანს ბაზარზე და გაყიდის შედარებით ძვირად

თუ ბაზარზე ბევრი მიმწოდებელია, ბაზარზე პროდუქციის რაოდენობა მოიმატებს



ბიუჯეტი - ფინანსური გეგმა



ხაზინა - სახელმწიფოს ქონებრივ სამუდამოა ერობლიობა, სახელმწიფო ქონება (ფულითა თუ სხვა სახით წარმოდგენილი).



ფული

- ფულის ფუნქცია
- დაგროვების კარგი საშუალება
- ნივთის ხარისხის საზომი
- ღირებულების საზომი



შემთხვევა N 2



*ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი
პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისთვის*

წარმოდგენილი შემთხვევა აღწერს პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებელში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის სასწავლო პროგრამისა და გარემოს ადაპტაციის გზებს.

აღნიშნულ შემთხვევაში, პროფესიული სასწავლებლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა და პროფესიული მასწავლებლების მიერ განხორციელებულმა ინტერვენციამ, საშუალება მისცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს წარმატებულად გაეგლო პროგრამა და თავისი შესაძლებლობებისა და მოლოდინების შესაბამისად დაუფლებოდა სასურველ პროფესიას.

ზოგადი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ

სანდრო² 22 წლის არის და საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობს. ის კეთილგანწყობილი, აქტიური, მოტივირებული და ინიციატივით გამორჩეული ახალგაზრდაა. სახლის გარემოში ხშირად შეუკეთებია სხვადასხვა ნივთი.

სანდროს ზომიერი სპასტიური ტეტრაპარეზი აქვს, რაც ფუნქციურ დონეზე მსუბუქიდან ზომიერში გარდამავალ მოტორული კოორდინაციის სირთულეში ვლინდება. მეტყველების ტემპი შენელებულია და ამასთანავე, აღენიშნება ბგერათწარმოების სირთულეც.

სანდროს ძალიან უნდოდა პროფესიის შეძენა და იმავე ქალაქში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიმართა. კონსულტირების შედეგად, მან, პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში, სამი სხვადასხვა პროფესია მოსინჯა: თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტის, მღებავის, სანტექნიკოსის.

² კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, სტუდენტის სახელი შეცვლილია

კოლეჯის ინკლუზიური განათლების სპეციალისტის აქტიური მხარდაჭრით, სანდრომ სამ პროფესიასთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოცდილება მიიღო, რაც მას გაცნობიერებული ინფორმირებული არჩევანის გაკეთებასა და სასურველ პროფესიულ პროგრამაზე დარეგისტრირებაში დაეხმარა.

პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებელში რეგისტრაციის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სანდრომ აღნიშნულ კოლეჯში ალტერნატიული ტესტირება გაიარა და თაბაშრ-მუყაოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა

ჩარიცხვის შემდეგ, კოლეჯის თანამშრომლების მიერ დაიგეგმა საერთო შეხვედრა, რომლის მიზანს სანდროს საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების ანალიზი და სამუშაო სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა მულტიდისციპლინური გუნდი გაეცნო სანდროს შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ დასკვნას სანდროს კოგნიტური, აკადემიური და ფუნქციური უნარების შესახებ და ასევე, ალტერნატიული ტესტირების დროს ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ გაკეთებულ ჩანაწერებს.

სტუდენტის უნარებისა და პრიორიტეტების, ასევე სასწავლო პროგრამის ანალიზის შედეგად, კოლეჯის სპეციალისტების მიერ განისაზღვრა რესურსები, რომელიც გასათვალისწინებელი იყო სანდროს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისათვის; მნიშვნელოვანი იყო სტუდენტის განვითარების თავისებურებების, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, შესაბამისი პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებების შემუშავება.

სტუდენტის კოგნიტური, აკადემიური და ფუნქციური სფეროს შეფასების დასკვნიდან შემდეგი თავისებურებები იკვეთება:

ყურადღება: სანდროს შეუძლია ყურადღების კონცენტრირება დავალებებზე, რომლებიც თვალსაჩინო სასტიმულო მასალის გამოყენებით სრულდება. უჭირს ისეთი დავალების შესრულება, სადაც არ არის გამოყენებული თვალსაჩინო მასალა და ინსტრუქცია მხოლოდ წერლობით ან ვერბალურად არის მოცემული.

მეხსიერება: სანდროს ძლიერი მხარეა მხედველობითი მეხსიერება; უკეთესად აქვს განვითარებული ვერბალური გადავადებული სმენითი მეხსიერება, ვიდრე სმენითი ხანმოკლე მეხსიერება. მუშა მეხსიერების მოცულობა შედარებით შევიწროვებულია.

აზროვნება: სანდროს შეუძლია მარტივი ვიზუალური ანალოგიების წვდომა, კატეგორიზაცია და მარტივი ლოგიკური ამოცანების გადაჭრა. მას უჭირს ასაკის შესაბამისი ლოგიკო-მათემატიკური ოპერაციებისა და ცნებების წვდომა.

მეტყველება: სანდრო იგებს და ასრულებს ერთ-საფეხურიან ინსტრუქციებს. გამომდინარე იქიდან, რომ სმენითი მეხსიერების მოცულობაში ვლინდება სირთულე, ამიტომ ორი და სამი მოქმედების შემთხვევაში, საჭიროებს გამეორებას; მეტყველება გასაგები და თანმიმდევრულია, თუმცა გამოიხატება არტიკულაციური თავისებურებები; მეტყველებს ნელა, ძირითადად მარტივი წინადადებებით.

აკადემიური უნარები:

წერა: სირთულე ვლინდება წინადადების ჩაწერასთან დაკავშირებით - ვერ ქმნის წერილობით ტექსტებს.

კითხვა: უჭირს 2 და მეტ მარცვლიან სიტყვების გამთლიანებით ამოკითხვა;

თხრობა: შეუძლია მარტივი ყოფითი მოკლე ამბის გაგება და ძირითადი შინაარსის გადმოცემა.

ანგარიში: ცნობს და ასახელებს მხოლოდ ორნიშნა არითმეტიკულ ნიშნებს.

მოტორიკა: მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარების კუთხით, ვლინდება სირთულე. სანდროს ახასიათებს სიარულის ნელი ტემპი და მოძრაობების კოორდინირებულად და მოქნილად გამოყენების სირთულე; თუმცა, გადაადგილდება დამოუკიდებლად. შეუძლია საწერი საშუალების ხელში პინცეტისებური ჩაჭიდებით ჭერა და წვრილი ნივთების მანიპულირება. უჭირს შესაბამისი ძალის გამოყენება სხვადასხვა ხელსაწყოს მოხმარებისას, როგორცაა: დანა, მაკრატელი.

ფუნქციური უნარები: სანდრო დამოუკიდებლად ზრუნავს პირად ჰიგიენაზე; არ აქვს დამოუკიდებლად ტრანსპორტირების გამოცდილება.

სასწავლო პროცესის და გარემოს ადაპტაცია

სანდროს შეფასების დასკვნაში აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, განისაზღვრა სასწავლო გარემოსა და პროგრამაში სხვადასხვა სახის ადაპტაციის, ასევე, დამხმარე რესურსის შექმნის/მოძიების საჭიროება.

პროფესიული სასწავლებლის შიდა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, სანდროს განათლების მხარდაჭერის მიზნით, შემდეგი ღონისძიებები განისაზღვრა და განხორციელდა:

- ✓ კოლეჯის შტატგარეშე თანამშრომელი უზრუნველყოფდა სანდროს ტრანსპორტირებას პროფესიულ სასწავლებელში და სასწავლებლიდან სახლში.
- ✓ პროფესიულ პედაგოგთან ერთად ყურადღება გამახვილდა დამოუკიდებლად მუშაობისათვის საჭირო სამუშაო სივრცის მოწყობაზე. სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობები სანდროს თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტისთვის გამოყოფილ სახელოსნოში უტარდებოდა. პედაგოგის მიერ ლექციის დაწყებამდე წინასწარ მზადდებოდა შესაბამისი მასალა და ინსტრუმენტები რომლებიც კონკრეტული ლექციისათვის იყო საჭირო. მაგ: ფანქარი, მარკერი, სახაზავი, თაბაშირ-მუყაოს საჭრელი დანა, პერფორატორი, ლაზერი და/ან შვეული და თარაზო, საზომი ლენტი, ლითონის საჭრელი მაკრატელი, მოსანიშნი ძაფი, ჭოპოსანი, ნაწიბურების შალაშინი, პროფილების გამკვეთი, ჩაქუჩი და სხვა. ასევე, გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: სათვალე, ნიღაბი, ხელთათმანი, სპეციალური ტანსაცმელი, ქამარი და სხვა.
- ✓ სალექციო პროცესში სანდრო პედაგოგებთან ახლოს იჯდა, რათა გაზრდილიყო ვიზუალური, ვერბალური და ფიზიკური ინტერაქცია და საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლებისგან შესაბამისი დახმარება მიეღო.
- ✓ ლექციების მსვლელობისას პედაგოგები აქტიურად იყენებდნენ წყვილებში და მცირე ჯგუფებად მუშაობის მეთოდს. აღნიშნული ტიპის მუშაობისას,

სანდროს ჯგუფებისგან შესაბამისი ხელშეწყობის მიღება შეეძლო; მაგალითად, მეწყვილესთან ერთად ზომავდა პროფილს და შემდეგ ჭრიდა შესაბამის ზომებად; ამასთანავე, სანდრო სწავლობდა წყვილებში და ჯგუფებში მუშაობას, რასაც თაბაშირ-მუყაოს სპეციალობაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

- ✓ სასწავლო პროცესში თეორიული მასალის, ან პროფესიული ტერმინოლოგიის დამახსოვრების გასაადვილებლად, გამოყენებულ იქნა ვიზუალური და გრაფიკული ინსტრუქციები.
- ✓ მეტი თვალსაჩინოებისთვის, შეიქმნა ვიზუალური სქემები/ატლასები, რომლებიც სამუშაო აუდიტორიაში იყო გამოკრული.

დავალებების, მასალის, ინსტრუქციის ადაპტაცია

- თითოეული პროგრამული სილაბუსის თემასთან დაკავშირებით, პროფესიულ პედაგოგთან ერთად განისაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო მიზნები - მოხდა მიზნების რაოდენობრივი ცვლილება და მოდიფიკაცია (გამარტივება) (იხ. დანართი „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობა“ „სამშენებლო მასალათმცოდნეობა“);
- ასაკის შესაბამისი წერა/კითხვისა და კალკულაციის სირთულის გამო, ვერბალური მასალის ჩასაწერად გამოყენებულ იქნა აუდიო ჩამწერი, რათა სანდროს შესძლებოდა თეორიული მასალის იმდენჯერ მოსმენა, რამდენჯერაც დასჭირდებოდა;
- გამარტივებული არითმეტიკული ოპერაციების შესასრულებლად გამოყენებულ იქნა კალკულატორი.
- თეორიული მასალის გაგების ხელშესაწყობად, პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად განხორციელდა ინფორმაციის/ინსტრუქციის აკომოდაცია (როდესაც საკითხი ეხებოდა რთულ მათემატიკურ გამოთვლებს ან სააზროვნო ოპერაციებს);
- სასწავლო პრაქტიკის დროს მასწავლებლები, ძირითადად კეთებით სწავლების მეთოდს იყენებდნენ;

- გამოკითხვის სტრატეგიად შეირჩა კითხვებზე პასუხების ზეპირი სახით გაცემა ან/და პრაქტიკული დემონსტრირება;
- დავალების შესასრულებლად სანდროს ეძლეოდა დამატებითი დრო, რადგან მისი შესრულების ტემპი შედარებით შენელებული იყო.

წერის, კითხვის და ტესტირების აკომოდაციები

- ტესტირებამდე ორი კვირით ადრე, პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ შემუშავდა შუალედური და მიმდინარე ტესტირებების მოდიფიცირებული ვარიანტი. ტესტი ძირითადად დახურული ფორმის კითხვებით და ალტერნატიული პასუხებით შედგა. გამარტივდა პროფესიული ტერმინოლოგია და შემცირდა საკითხთა რაოდენობა.
- შუალედური და მიმდინარე ტესტირებების დროს, სანდროს მიეცა საშუალება ცოდნა გამოავლინა წერის ალტერნატიული საშუალებებით - ზეპირი გამოკითხვით. მაგალითად, პროფესიული მასწავლებელი ან ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ხმამაღლა უკითხავდა სატესტო დავალებებს, ხოლო სანდრო ირჩევდა და ასახელებდა შესაბამის პასუხს.
- წერითი დავალების შესასრულებლად, ასევე გამოყენებულ იქნა კომპიუტერი. მასწავლებელი ან ინკლუზიური განათლების სპეციალისტი სანდროს უკითხავდა ტესტის საკითხებს და სავარაუდო პასუხებს, ხოლო სანდრო ირჩევდა სათანადო პასუხს და დამოუკიდებლად აღნიშნავდა კომპიუტერში.
- ამასთანავე, ტესტების დროს დავალებების შესასრულებლად შეთავაზებული იყო დამატებითი დრო.

სასწავლო პროცესის მონიტორინგი

- სასწავლო პროცესის დინამიკის შესაფასებლად, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებდა.

- დაკვირვების მეთოდისა და ინტერვიუს საშუალებით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი განსაზღვრავდა ორგანიზებული სასწავლო პროცესის შესაბამისობას - რამდენად არის მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები სილაბუსით განსაზღვრული მიზნების შესაბამისი; რამდენად წარმატებით ართმევს თავს სტუდენტი დასახულ მიზნებს და სხვა.
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით, ხდებოდა სასწავლო პროცესში არსებული მიმდინარე გამოწვევების გამოვლენა.
- სტუდენტთან და მშობელთან გასაუბრებით ხდებოდა მათი მოლოდინების და საჭიროებების განსაზღვრა და ასევე, სანდროს თვითრეფლექსიის ხელშეწყობა.
- შეიქმნა სანდროს პორტფოლიო - სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის დინამიკის ამსახველი დოკუმენტაცია.
- სანდრომ გაიარა ზოგადი თეორიული და სპეციალური პრაქტიკული კურსი და საწარმოო პრაქტიკა სასწავლებლის ბაზაზე.

ამჯერად, სანდრო პროფესიული გამოცდილების ახალ, დასაქმების ეტაპზე გადადის.

პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლებისა და სპეციალისტების მიერ გაწეული სწორი მხარდაჭერის და გუნდური მუშაობის, ისევე, როგორც თავად სტუდენტის ძლიერი მოტივაციის და გაწეული ძალისხმევის შედეგად, სანდრომ სასწავლო პროგრამა წარმატებულად დაასრულა.

სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესი და ხელშეწყობა ზრდის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას და პროგრამის წარმატებულად გავლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

დანართი N1

სანდროსთვის მოდიფიცირებული სასაწვლო მიზნები

სანდროს ინდივიდუალური მახასიათებლების და საჭიროებების გათვალისწინებით, სტანდარტულ სასაწვლო სილაბუსზე დაყრდნობით განისაზღვრა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები:


თეორიული ცოდნის მხრივ სანდროს შემდეგ ცოდნას ავლენს:

- შრომის უსაფრთხოების წესები;
- კონსტრუქციების აგების თანმიმდევრული მეთოდები;
- კონსტრუქციული ელემენტების კლასიფიკაცია;
- თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების აგების ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპები;
- ხისა და ლითონის კონსტრუქციების აგების ტექნოლოგიები (თეორიულად);
- თბოიზოლაციისა და ხმის იზოლაციის ტექნოლოგიები (კედელზე);
- თაბაშირ-მუყაოს ფილების ღუნვის მეთოდები;
- კედელზე თაბაშირ-მუყაოს მონტაჟის მეთოდები;
- თაბაშირ-მუყაოს ტიხრების ტიპები და მოწყობის წესები;
- თაბაშირის საამშენებლო თვისებები;
- მუყაოს ფილების ჭრის მეთოდები ;
- სამაგრი ნაკეთობების სახეები (სამაგრები, ლურსმნები ,სჭვალეები, ანკერები, პროფილები) დანიშნულება და გამოყენების წესები;
- თაბაშირ-მუყაოს ფურცლებით და მოსაპირკეთებელი პანელებით კედლის მოპირკეთების მეთოდები;
- საბათქაშე სისტემების სახეები და საბათქაშე ნარევების ნაირსახეობების დანიშნულება და გამოყენების წესები;
- საზომი და სანიშნი ინსტრუმენტების გამოყენების წესები;
- თაბაშირ-მუყაოს ფურცლებით შემოსვის ნაკერების დამუშავების ხერხები;
- ელექტრო ხელსაწყოების სახეები, მათი დანიშნულება და უსაფრთხოდ გამოყენების წესები;
- თაბაშირ-მუყაოს სამაგრი და კონსტრუქციის ასაწყობი ინსტრუმენტების შერჩევისა და გამოყენების წესები;
- საფითხნი, საგრუნტი და სახეხი ხელსაწყოების გამოყენების წესები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მხრივ სანდროს შეუძლია:

- უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟის გამოყენება პრაქტიკაში;
- საზომი და სანიშნი ინსტრუმენტების გამოყენება;
- მჭრელი იარაღების უსაფრთხოდ გამოყენება;
- ასისტირებით ელექტრო იარაღების დანიშნულების მიხედვით გამოყენება;
- ასისტირებით თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მოწყობის პროცესში;
- კედლების და ტიხრების მოპირკეთების სამუშაოების დროს ასისტირება - სხვადასხვა ხერხებით დაწებება;
- თაბაშირ-მუყაოს ფილების აზომვა, ნიშნულის დატანა და ჭრა (გასერვისა და გადატეხის მეთოდით);
- თაბაშირ-მუყაოს ფილების დამაგრებისას ასისტირების გაწევა;
- ასისტირება თაბაშირ-მუყაოს ფილების მონტაჟისას კედელზე სხვადასხვა ხერხებით;
- თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა, ასისტირება თაბაშირ-მუყაოს სამშენებლო და საფითხი სამუშაოების შესრულების პროცესში;
- კოლექტიური ჯგუფური მუშაობა, ინსტრუქტაჟის მიხედვით სამუშაო იარაღების გამოყენება;
- სხვადასხვა სახის თაბაშირ-მუყაოს პროდუქციის შერჩევა და საჭიროებისამებრ გამოყენება;
- სამაგრი ნაკეთობების (ლურსმნები, სჭვალეების, ანკერების, ჭანჭიკების) შერჩევა და გამოყენება;
- საბაზო დონეზე პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

შემთხვევა N 3



ინკლუზიური პროფესიული განათლება გაზრდილი
დამოუკიდებელი ფუნქციონირებისთვის

წარმოდგენილი შემთხვევა აღწერს, თუ როგორ განაპირობა პროფესიულ განათლებაში ჩართვამ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის დამოუკიდებლად ფუნქციონირების გაზრდა. კერძოდ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით დამოუკიდებლად სარგებლობის სწავლა.

შემთხვევაში ასახულია ის ეტაპები, რომლებიც სტუდენტმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციალისტებისა და მშობლის ხელშეწყობით, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მოძილობის მიმართულებით გაიარა.

ზოგადი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ

გიორგიმ ³ 9 კლასი დაასრულა და გადაწყვიტა სწავლა პროფესიულ სასწავლებელში გაეგრძელებინა.

გიორგის სამედიცინო დიაგნოზია ნეიროსენსორული ხასიათის უმძიმესი IV ხარისხის სმენის დარღვევა. ამასთანავე, აქვს ჰიდროცეფალური სინდრომი.

მას მნიშვნელოვანი სირთულე აღენიშნებოდა კომუნიკაციისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების მხრივ, არ ატარებდა სასმენ აპარატს, არ იცოდა ჟესტური ენა, რაც კიდევ უფრო მეტ კომუნიკაციურ სირთულეებს უქმნიდა. გიორგი, ძირითადად, ოჯახის წევრებთან ურთიერთობდა და მათთან კომუნიკაციისთვის სხეულის ენას და თავად შექმნილ ჟესტებს იყენებდა.

დედის გადმოცემით, გიორგი განსაკუთრებულად საჭმელების მომზადებით ინტერესდებოდა, სახლში აქტიურად აკეთებდა სხვადასხვა მარტივ კერძს და დიდი სურვილი ჰქონდა ჩაებარებინა მზარეულის პროფესიაზე, რათა სრულყოფილად დაუფლებოდა აღნიშნულ პროფესიას.

³ კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, სტუდენტის სახელი შეცვლილია

სასურველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის შემდეგ, გიორგიმ ექსპერტთა გუნდის შეფასება გაიარა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შედეგად, ალტერნატიული ფორმით ჩააბარა პროფესიული ტესტირება.

გიორგი თავისი რეგიონის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მის მიერ შერჩეულ მზარეულის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა.

სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებები

პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სტუდენტს კოლეჯში სიარულის სირთულე ჰქონდა. ის დამოუკიდებლად ვერ სარგებლობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ყოველდღიურად საჭიროებდა მშობლის თანხლებას. გიორგის საცხოვრებლიდან პროფესიულ სასწავლებელში მოსახვედრად, ორი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოცვლა იყო საჭირო. აღსანიშნავია, რომ სტუდენტის ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და ყოველდღიურად ოჯახის ორი წევრის მგზავრობა პროფესიულ სასწავლებელში და უკან სახლში, ორმაგ ფინანსურ ხარჯს იწვევდა. გარდა ამისა, მშობელს მთელი დღის განმავლობაში უწევდა პროფესიულ სასწავლებელში გიორგის ლექციების დასრულებამდე ყოფნა, რაც მას სხვა საქმიანობების შესრულების შესაძლებლობას აღარ აძლევდა.

აღნიშნული ფაქტორების გამო, სტუდენტი ხშირად აცდენდა ლექციებს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს, რაც უარყოფითად მოქმედებდა მის სასწავლო პროცესზე და პროფესიული კომპეტენციების დაუფლებაზე.

ამრიგად, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტმა, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად, სწორედ გიორგისთვის დამოუკიდებლად ტრანსპორტირების სწავლება დაისახეს.

მოეწყო საერთო შეხვედრა მშობელთან და სტუდენტთან; გამოიკვეთა სტუდენტის ის ძირითადი საჭიროებები და ძლიერი მხარეები, რაც მას დამოუკიდებლად ტრანსპორტირებასთან მიმართებაში ჰქონდა; ასევე, გაანალიზდა შესაძლო რისკები.

სტუდენტის ძლიერი მხარეები:	სტუდენტის საჭიროებები:
✓ აქვს პროფესიის დაუფლების მაღალი მოტივაცია; ✓ აქვს პროფესიულ სასწავლებელში დამოუკიდებლად სიარულის მაღალი მოტივაცია; ✓ შეუძლია სივრცეში დამოუკიდებლად ორიენტირება; ✓ ცნობს ფულის ერთეულებს; ✓ ცნობს საჭირო ტრანსპორტს;	✓ აქვს კომუნიკაციის სირთულე - არ შეუძლია სხვისი მეტყველების გაგება და ზეპირი მეტყველების საშუალებით ინფორმაციის გადაცემა; გამოთქვამს მხოლოდ ცალკეულ ბგერებს და რამდენიმე სიტყვას, რომელიც უმეტესად უცხო პირთათვის ძნელად გასარჩევია; ✓ არ იცის საგზაო უსაფრთხოების წესები; ✓ არასდროს ჰქონია დამოუკიდებლად ტრანსპორტირების გამოცდილება, თუნდაც მცირე მანძილზე; ✓ ვერ სარგებლობს მობილური ტელეფონით - არ შეუძლია მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა და წაკითხვა წერა-კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო.
შესაძლო რისკები: - კოლეჯიდან უკან დაბრუნების შემთხვევაში, გიორგიმ უნდა გადაკვეთოს ქუჩა (ქუჩაზე არის შუქნიშანი); - ტრანსპორტი შეიძლება არ მოვიდეს, დააგვიანოს, ან გაფუჭდეს გზაში; - გიორგიმ, შესაძლოა, ვერ მიიღოს საჭირო ინფორმაცია/დახმარება კომუნიკაციის სირთულის გამო; - მგზავრობისას მობილური ტელეფონი შეიძლება გაითიშოს;	

სამოქმედო გეგმის შემუშავება

გიორგისთან და მის მშობელთან შეხვედრის შედეგად, შემუშავდა ტრანსპორტირების დამოუკიდებლად გამოყენების სწავლების გეგმა.

მშობელი თანახმა იყო, გიორგის ესწავლა დამოუკიდებლად ტრანსპორტირება, მაგრამ პირველ ეტაპზე, ზფოთვდა, თუ რამდენად შეძლებდა გიორგი დამოუკიდებლად გადაადგილებას. სწორედ ამიტომ, პირველ ეტაპზე მშობელი მაქსიმალურად ჩართული იყო გეგმის განხორციელებაში.

ტრანსპორტირების სასწავლებლად შემუშავდა შემდეგი გეგმა:

- გიორგისთვის გასავლელი მარშრუტის სწავლება;
- გიორგისთვის კომუნიკაციის დამყარების საშუალებების სწავლება;
- გიორგისთვის ტრანსპორტირებისას ასისტირების გაწევა, დახმარების ეტაპობრივი შემცირებით;
- საგზაო უსაფრთხოების წესების და შუქნიშნის გამოყენების სწავლება;
- საჭიროების შემთხვევაში, გზაში არსებული სირთულის არსებობისას პრობლემის გადაჭრის გზების და დახმარების თხოვნის სწავლება;

დამოუკიდებლად ტრანსპორტირების სწავლება



ინფორმაცია სტუდენტის მარშრუტის შესახებ:

გიორგი კოლეჯში დადიოდა ახლომდებარე სოფლიდან, რომელიც რაიონული ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული და კოლეჯში მისასვლელად ორი ტრანსპორტის გამოცვალას საჭიროებდა.

1. ყოველდღიურად გიორგის უწევდა სოფლიდან ტრანსპორტით გასვლა დილის 9:20-9:30 საათზე. ავტობუსს ის სოფლის სადგურამდე მიჰყავდა.

2. ამის შემდეგ, სტუდენტი უნდა გაყოლოდა რაიონის სადგურიდან ქალაქის მიმართულებით 10 საათზე გამსვლელ ავტობუსს, რომელსაც ქალაქის სადგურამდე 40 წთ. სჭირდებოდა.

3. შემდგომ, გიორგი უნდა გადამჯდარიყო საქალაქო ტრანსპორტში, რომელიც ქალაქის სადგურიდან გადიოდა ყოველ ნახევარ საათში, რის გამოც გიორგის უწევდა 10-15 წუთი სადგურში ტრანსპორტისთვის დალოდება. საქალაქო ტრანსპორტს სტუდენტი კოლეჯამდე მიჰყავდა.

უკან დაბრუნების შემთხვევაში, გიორგის უწევდა დაახლოებით 100 მეტრის ფეხით გავლა, რათა ქალაქის სადგურამდე გაჰყოლოდა ტრანსპორტს. სადგურიდან 3 საათზე გადიოდა მის რაიონში მიმავალი ტრანსპორტი, რომელსაც სტუდენტი სახლამდე მიჰყავდა.

გიორგისთან მუშაობა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

I ეტაპი - საწყის ეტაპზე, მშობელი სოფლიდან ქალაქის სადგურამდე მიყვებოდა სტუდენტს და სვამდა მას მეორე ტრანსპორტზე. ამის შესახებ ატყობინებდა ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს, ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტს. სტუდენტი ამ ტრანსპორტით სარგებლობდა დამოუკიდებლად, კოლეჯთან მას ასისტენტი ხვდებოდა.

ლექციების დასრულების შემდეგ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი გიორგის აცილებდა კოლეჯიდან ქალაქის სადგურისკენ მიმავალ ტრანსპორტზე, სადაც მას დედა ხვდებოდა. ასე გაგრძელდა, მანამ, სანამ მშობელი არ დარწმუნდა, რომ სტუდენტი შეძლებდა დამოუკიდებლობის შემდეგ ეტაპზე გადასვლას.

II ეტაპი: აღნიშნული ეტაპი ითვალისწინებდა სტუდენტის მიერ ორივე ტრანსპორტით დამოუკიდებლად სარგებლობას. გიორგის ამ დროისთვის ასწავლეს მშობლისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა. ქალაქის სადგურზე ჩამოსვლისას, გიორგი დედას უგზავნიდა ტექსტურ შეტყობინებას, რის შემდეგაც დედა უკავშირდებოდა ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს ან ასისტენტს და ატყობინებდა, რომ სტუდენტი სადგურიდან მიდის კოლეჯში, კოლეჯთან მას

ხვდებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. კოლეჯში მისვლის დროსაც სტუდენტი დედას უგზავნიდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებას რაც ნიშნავდა, რომ ის უკვე კოლეჯშია.

III ეტაპი: აღნიშნულ ეტაპზე, სტუდენტი უკვე სრულიად დამოუკიდებლად მიდიოდა კოლეჯში და მხოლოდ კოლეჯში მისვლის შემდეგ აუგზავნიდა მშობელს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას.

თუნდაც მცირედი რისკის თავიდან აცილების მიზნით, გადაწყდა, რომ გიორგის მგზავრობისას თან ჰქონოდა ბარათები. ერთ-ერთ ბარათზე ეწერა, რომ ის მიდის პროფესიულ კოლეჯში (მითითებული იყო კოლეჯის მისამართი და საკონტაქტო ნომრები), ხოლო მეორეზე ეწერა, რომ ის მიდიოდა სახლში (მითითებული იყო სახლის მისამართი და საკონტაქტო ნომრები). იმისათვის, რომ სტუდენტს ერთმანეთისგან განესხვავებინა ბარათები, ერთს მიმანიშნებლად სახლი ეხატა, ხოლო მეორეს პროფესიული სასწავლებლის შენობა.

ერთ-ერთი ბარათის მაგალითი:



აღნიშნული ბარათებით სარგებლობა გიორგის შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ მგზავრობისას შეიქმნებოდა რაიმე სახის პრობლემა. ის საჭიროების მიხედვით აჩვენებდა აღნიშნულ ბარათებს ქუჩაში გამვლელს და სთხოვდა დახმარებას. გიორგი წინასწარ მოამზადეს აღნიშნული ბარათების გამოყენებასა და გამვლელებისთვის/უცხო ადამიანებისთვის დახმარების თხოვნაში.

ამავე ეტაპისთვის, გიორგის უკვე ნასწავლი ჰქონდა გზის უსაფრთხოდ გადაკვეთის და შუქნიშნის გამოყენების წესები.

მესამე ეტაპის ბოლოს, გიორგი სრულიად დამოუკიდებლად სარგებლობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ყოველგვარი დახმარების გარეშე, მიდიოდა პროფესიულ სასწავლებელში და ბრუნდებოდა უკან, სახლში.

გიორგისთან წარმატებულად განხორციელებული სამუშაოს

განმაპირობებელი ფაქტორები:

- დეტალურად მოხდა სტუდენტის შესაძლებლობების და საჭიროებების შესწავლა და შესაძლო რისკების განსაზღვრა;
- საფუძვლიანად მოხდა სტუდენტის მიერ გასავლელი მარშრუტის შესწავლა და გაანალიზება;
- სწავლება რამდენიმე ეტაპად დაიგეგმა, დახმარების თანმიმდევრული შემცირებით;
- მოიძებნა ალტერნატიული გზები/საშუალებები სტუდენტის კომუნიკაციური სირთულეების საპასუხოდ;
- სტუდენტთან მუშაობა მრავალმხრივი მიმართულებით განხორციელდა (მაგ.: მობილურის გამოყენება, ბარათების გამოყენება და სხვა).
- როგორც საჭიროებების განსაზღვრის, ასევე, გეგმის შემუშავებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე, თავად სტუდენტი და მისი მშობელი აქტიურად იყვნენ ჩართული და თანამშრომლობდნენ პროფესიული სასწავლებლის სპეციალისტებთან.

ინკლუზიური პროფესიული განათლება, გარდა იმისა, რომ სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს პროფესიების დაუფლების პირობებს უქმნის, ასევე, ყოველდღიური დამოუკიდებელი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი სხვა უნარ-ჩვევების განვითარებასაც უწყობს ხელს.

აუცილებელია, ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართულმა სპეციალისტებმა გააცნობიერონ საკუთარი როლი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაში და აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეძლონ.

შემთხვევა N 4



პროფესიული ორიენტაციიდან პროფესიულ განათლებამდე

შემთხვევა აღწერს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიული ორიენტაციის, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის პროცედურებსა და სასწავლო პროცესის სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგების სტრატეგიებს.

ზოგადი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ

19 წლის დემეტრემ⁴ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის (IX კლასი) დასრულების შემდეგ, სწავლის გაგრძელება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაწყვიტა. დემეტრეს ეპილეფსიის დიაგნოზი აქვს და წლების მანძილზე მედიკამენტოზურ მკურნალობაზე იმყოფებოდა. სკოლაში მას სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები აღენიშნებოდა.

პროფესიის შერჩევაში ხელშეწყობა

„პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაციის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, კონსულტაციის მიღების მიზნით, დემეტრემ მშობლებთან ერთად მის რეგიონში არსებულ პროფესიულ სასწავლებელს მიმართა.

პროფესიულ სასწავლებელში თავდაპირველად მათ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი შეხვდათ, რომელმაც დემეტრესა და მის მშობლებს კოლეჯში არსებული სპეციალობები გააცნო და ასევე, სამომავლო დასაქმების შესაძლებლობების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

გამომდინარე იქიდან, რომ დემეტრეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები ჰქონდა, კონსულტირების პროცესში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან ერთად ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებიც ჩაერთვნენ.

⁴ კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, სტუდენტის სახელი შეცვლილია

პირველივე შეხვედრისას, დემეტრემ მეფილე-მომპირკეთებლის სპეციალობაზე სწავლის სურვილი გამოთქვა. გამომდინარე იქიდან, რომ დემეტრეს მამა პროფესიით მეფილე-მომპირკეთებელია, დემეტრე სახლის სახელოსნოში ხშირად ატარებდა დროს მამასთან ერთად და მოსწონდა მისი მუშაობის პროცესზე დაკვირვება. დემეტრეს აზრით, კარგი იქნებოდა თუკი ფილის დაგებას ისწავლიდა და მომავალში მამასთან ერთად იმუშავებდა. პროფესიული სასწავლების სპეციალისტებთან საუბრისას გაირკვა, რომ დემეტრეს მეფილე-მომპირკეთებლის საქმიანობასთან დაკავშირებული გამოცდილება, მხოლოდ მამის მუშაობაზე დაკვირვებით შემოიფარგლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დემეტრემ პროფესიულ სასწავლებელს კონკრეტული პროფესიის დაუფლების სურვილით მიმართა, სპეციალისტებმა გადაწყვიტეს მისთვის რამდენიმე სხვა პროფესიის გაცნობაც რადგან, სფეროში დაგროვილი გამოცდილებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ საბოლოო ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი რაც შეიძლება მეტ პროფესიას გაეცნოს, პრაქტიკულად მოსინჯოს რამდენიმე მისთვის სასურველი საქმიანობა.

დემეტრეს პროფესიული ორიენტაცია რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

I. ეტაპი - აღნიშნული ეტაპის მიზანი იყო: 1. გარკვევა, თუ რა ინფორმაციას ფლობს დემეტრე სხვადასხვა პროფესიის შესახებ; 2. დემეტრესთვის იმ პროფესიების გაცნობა, რომლებიც კონკრეტულ პროფესიულ სასწავლებელში ხორციელდება.

1. დემეტრეს ინფორმირებულობის გასარკვევად პროფესიების შესახებ, სპეციალისტებმა *გასაუბრება* გამოიყენეს. დემეტრემ გაიხსენა ის პროფესიები, რომელიც მას გაუგია და/ან უნახავს;

2. პროფესიულ სასწავლებელში არსებული პროფესიების შესახებ დემეტრეს გაცნობიერებულობის გაზრდის მიზნით, სპეციალისტებმა რამდენიმე სტრატეგია გამოიყენეს:

- გააცნეს დემეტრეს იმ პროფესიათა ჩამონათვალი რომელიცკოლეჯში ისწავლება;
 - დაათვალიერებინეს პროფესიული სახელოსნოები, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა პროფესიების შესწავლა.
 - ინტერნეტით მოიძიეს და დემეტრესთვის მოამზადეს სხვადასხვა პროფესიის და პროფესიის ფარგლებში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა.
- აღწერილი ფორმატით, დემეტრე სულ 16 პროგრამას/პროფესიას გაეცნო.

II. ეტაპი - აღნიშნული ეტაპის მიზანს, დემეტრეს პროფესიებთან დაკავშირებული ინტერესების გამოვლენა და მისთვის კონკრეტული პროფესიების პრაქტიკულად მოსინჯვის გამოცდილების მიცემა წარმოადგენდა.

აღნიშნული ეტაპი ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა. სპეციალისტებმა ინტერესთა კითხვარი გამოიყენეს, რომელზე დაყრდნობითაც, გაარკვიეს დემეტრეს ზოგადი ინტერესები (მაგალითად: რას საქმიანობს დემეტრე დღის განმავლობაში, რისი კეთება მოსწონს და სხვა). ინტერვიუს ბოლოს, 3 ძირითადი საქმიანობა გამოიკვეთა, რომელიც დემეტრეს ძირითად ინტერესს წარმოადგენდა:

1. *ფილის დაგება;*
2. *კერძების მომზადება* - ზოგჯერ დემეტრე სახლში კერძების მომზადების პროცესში მონაწილეობდა, ეხმარებოდა მშობლებს ბოსტნეულისა და ხორცის დაჭრაში და მისი თქმით, აღნიშნული პროცესი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.
3. *მებაღეობა* - დემეტრეს გადმოცემით, ის მიწასთან დაკავშირებულ საქმიანობებში ხშირად ეხმარებოდა მამას.

სპეციალისტებმა დემეტრეს აღნიშნული საქმიანობების უკეთესად გაცნობა და მათში მონაწილეობის მიღება შესთავაზეს, რაც უფრო მეტად დაეხმარებოდა საბოლოო პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.

დემეტრესთან შეთანხმებით, გამოყოფილ თითოეულ პროფესიასთან მიმართებაში, სულ მცირე ორი პრაქტიკული მოსინჯვა დაიგეგმა. ვიზიტების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა, მშობლებმაც აიღეს.

გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯში „მებაღეობის“ სწავლება არ მიმდინარეობდა, აღნიშნული საქმიანობის უკეთ გასაცნობად, მოხდა ქალაქის მერიის სამსახურთან დაკავშირება და შეთანხმება, რომ დემეტრე ქალაქში მიმდინარე ნარგავების მოვლის (სარწყავის სისტემების მუშაობის მონიტორინგი და გასხვლა) პროცესს დაესწრებოდა და შეძლებისდაგვარად მონაწილეობასაც მიიღებდა. ამასთანავე, პროფესიული სასწავლებლის სპეციალისტები ახლოს მდებარე სხვა კოლეჯსაც დაუკავშირდნენ, სადაც მებაღეობის პროგრამის სწავლება მიმდინარეობდა. მშობლებმა პასუხისმგებლობა აიღეს, რომ უზრუნველყოფდნენ დემეტრეს ვიზიტს კოლეჯში. ვიზიტების აუცილებელი პირობა იყო, რომ დემეტრეს თვითონვე მოესინჯა ის საქმიანობები, რომელსაც მუშაობის თუ სწავლის პროცესში სხვა სტუდენტები ახორციელებდნენ.

რაც შეეხება დანარჩენ ორ პროფესიულ საქმიანობას, დაიგეგმა, რომ კოლეჯში დემეტრე მონაწილეობას მიიღებდა როგორც ფილის დაგების, ასევე, კერძის მომზადების პროცესში.

სხვა სტუდენტებთან ერთად, დემეტრემ აჭარული ხაჭაპურის მომზადებაში მიიღო მონაწილეობა. ასევე, პროფესიულ მასწავლებელთან შეთანხმებით, რომელიც ერთ-ერთი რესტორნის სამზარეულოში მუშაობდა, დაიგეგმა კიდევ უფრო რეალურ გარემოში (რესტორნის სამზარეულო) ვიზიტი, სადაც დემეტრე ერთი მხრივ სხვების მუშაობას დააკვირდა და მეორე მხრივ, თვითონაც მიიღო მონაწილეობა ხახვისა და კარტოფილის გასუფთავებაში.

პარალელურად, დემეტრე კოლეჯში ფილის დაგების სწავლების პროცესს აკვირდებოდა და მასწავლებლის ფიზიკური და სიტყვიერი ხელშეწყობით, სტუდენტებთან ერთად პრაქტიკულ შესრულებაშიც ერთვებოდა.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ვიზიტისა და პრაქტიკული მოსინჯვის შემდეგ, სპეციალისტები დემეტრესთან საუბრობდნენ მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ და შეძენილ გამოცდილებაზე რეფლექსიის მოხდენაში ეხმარებოდნენ (რა აქტივობები ნახა? რომელი იყო ნაცნობი? რა წარმოადგენდა სიახლეს? რა მოეწონა შესრულების დროს? რა გაუჭირდა? მისი აზრით, რამდენად გამოუვა მოცემული საქმიანობის შესწავლა? რა იქნება რაზეც შედარებით მეტი დრო და ძალისხმევა დასჭირდება სწავლის პროცესში? იყო თუ არა რაიმე რისი გაკეთებაც არ მოსწონს? და სხვა).

შემაჯამებელი შეხვედრების დროს მიღებულ ინფორმაციას, სპეციალისტები იწერდნენ და დემეტრეს პორტფოლიოში ათავსებდნენ.

III. ეტაპი - აღნიშნული ეტაპის მიზანს, შემაჯამებელი შეხვედრის ორგანიზება და მიღებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით, დემეტრესთვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში ხელშეწყობა წარმოადგენდა.

შემაჯამებელი შეხვედრის დროს ყველა სპეციალისტი და დემეტრესთან ერთად მისი მშობლებიც ესწრებოდნენ. აღნიშნული შეხვედრისას, დემეტრესთან ერთად ყველა განხორციელებული აქტივობის გახსენება მოხდა. სპეციალისტებმა დემეტრეს ხელშესაწყობად, რომ მიღებული გამოცდილება აღედგინა, სხვადასხვა ვიზიტის დროს გადაღებული ფოტო მასალა გამოიყენეს. ამ სახით, დემეტრემ საკმაოდ ბევრი დეტალის გახსენება შეძლო.

შემაჯამებელ შეხვედრაზე, დემეტრემ თითოეულ პროფესიასთან მიმართებაში შეფასება მოახდინა და არგუმენტები და კონტრარგუმენტები გამოთქვა. ასე მაგალითად, რესტორანში ყოფნა მას ძალიან მოეწონა, თუმცა, სამზარეულოს გარემო მისთვის საკმაოდ ხმაურიანი და ქაოსური გამოდგა. ამასთანავე,

სპეციალისტების ობიექტური დაკვირვებით, დემეტრეს ნატიფი მოტორული სირთულეებიც აღმოაჩნდა, რის გამოც ბოსტნეულის დაფცქვნა-დასუფთავებამ მისგან საკმაოდ დიდი დრო მოითხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ფილის დამუშავებასთან დაკავშირებული აქტივობებიც საკმაოდ ხმაურიან გარემოში მიმდინარეობს, რომელიც დემეტრესთვის ასევე არასასიამოვნოა, დემეტრემ აღნიშნა, რომ ამ ტიპის ხმაურს ის უკვე მიჩვეულია და შესაბამისად, ნაკლებ შემაწუხებელია (მშობლების გადმოცემით და ობიექტური დაკვირვებით, დემეტრეს აღნიშნულ ხმებზე მკვეთრი რეაქცია არასდროს ჰქონია).

ასევე მოხდა მებალის საქმიანობის განხილვაც. მებაღეობასთან მიმართებაში ძირითად სირთულედ დემეტრემ და მისმა ოჯახმა დასაქმების მცირე შანსი და პროფესიული კოლეჯის (სადაც ისწავლება აღნიშნული პროფესია) სახლიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობა დაასახელეს.

შემაჯამებელი შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სწორედ დასაქმების მეტი ალბათობის გამო, დემეტრე უპირატესობას ისევ მეფილის პროფესიას ანიჭებდა.

სპეციალისტებმა შეხვედრისას ისაუბრეს დაკვირვების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნებოდა სწავლის პროცესის დაგეგმვისას. დემეტრეზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია სპეციალისტებმა შესაბამის ფორმაში ასახეს.

ფუნქციური უნარები	დემეტრეს არ აქვს ტრანსპორტით დამოუკიდებლად სარგებლობის გამოცდილება. მას ეშინია დამოუკიდებლად საჯარო ტრანსპორტით მგზავრობა. საწყის ეტაპზე, მამა უზრუნველყოფს დემეტრეს სასწავლებელში ტარებას. საჭირო იქნება გეგმის შემუშავება დემეტრესთვის დამოუკიდებლად ტრანსპორტირების დასასწავლად.
-------------------	---

აკადემიური უნარ-ჩვევები	შეუძლია კარნახით მარტივი წინადადებების წერა, კითხულობს მარტივ ორ და სამმარცვლიან სიტყვებს და აღიქვამს წაკითხულის შინაარსს. საჭირო იქნება საკითხავი მასალის გამარტივება. აქვს ზომის ერთეულების განსაზღვრის და მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულების სირთულე, რაც საჭირო რაოდენობის ფილის დაგების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია.
სხვა გასათვალისწინებელი ინფორმაცია	დემეტრეს დიაგნოზიდან გამომდინარე (ვესტის სინდრომი-ეპილეფსია) მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა და ჯგუფელებმა იცოდნენ გულყრის დროს პირველადი დახმარების წესები, ამისთვის საჭიროა კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა იმგვარად, რომ არ დაირღვეს პირადი ინფორმაციის დაცვის უფლება.

შემაჯამებელი შეხვედრის დასასრულს, სპეციალისტებმა დემეტრეს და მის მშობლებს რეგისტრაციის გასავლელად საჭირო აუცილებელი პროცედურები გააცნეს.

პროფესიული ტესტირება

პროფესიულ სასწავლებელში სწავლის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების პერიოდში დემეტრემ (მშობლების დახმარებით) გაიარა ელექტრონული რეგისტრაცია, სადაც მიუხედავად სამი პროფესიული პროგრამის მონიშვნის შესაძლებლობისა, მან სასურველ პროფესიად მხოლოდ მეფილე-მომპირკეთებელი მონიშნა.

მას შედეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასების შედეგად, დემეტრეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი დაუდასტურდა და პროფესიული ტესტირების ალტერნატიული მიდგომით გავლის უფლება მიენიჭა.

დემეტრესთვის პროფესიული ტესტირების დაგეგმვის მიზნით, პროფესიული სასწავლებლის გუნდი შეიკრიბა (პროფესიული მასწავლებელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი).

გამოიყო ასპექტები, რომელთა გათვალისწინებაც პროფესიული ტესტირების დაგეგმვის დროს უნდა მომხდარიყო:

- პრაქტიკული მოსინჯვისთვის შერჩეული აქტივობა უნდა წარმოაჩენდეს როგორც კონკრეტული პროფესიის სპეციფიკას, ასევე მის რუტინულ მხარეს;
- აქტივობის შესრულებისას, მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული პროფესიისათვის დამახასიათებელი ინსტრუმენტები და მასალა;
- აქტივობა უნდა ჩატარდეს პროფესიული პროგრამის პრაქტიკულ სახელოსნოში/ან ველზე, ანუ, რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში.
- აქტივობის შესრულებისთვის უნდა განისაზღვროს 30-40 წუთი.

გამომდინარე იქიდან, რომ დემეტრე პროფესიული ორიენტაციის დროს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს ესწრებოდა, მასწავლებლებისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებისთვის უკვე ნაცნობი იყო დემეტრეს ძლიერი მხარეები და საჭიროებები; ამასთანავე, ექსპერტთა გუნდის შეფასებამ, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა დემეტრესთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის თავისებურებები:

- დემეტრესთვის ინსტრუქციის 2-3 ჯერ გამეორების საჭიროება, ინსტრუქციებს შორის 5-6 წამიანი შუალედების დაცვა;
- შესასრულებელი დავალების მოდელირება, ფიზიკური დახმარების (ხელი - ხელზე ტექნიკა) გამოყენება ფილის გამოჭრის დროს;
- კომუნიკაციის შედარებით ნელი ტემპის გამოყენება;
- ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის გამოყენებისას უსაფრთხოების ზომების მაქსიმალურად დაცვა;

⁵ერთ მხრივ, წარმოდგენილი დრო მიახლოებულია ლექციების ტიპურ ხანგრძლივობასთან; მეორე მხრივ, ითვალისწინებს აპლიკანტის შესაძლო გადადლის ფაქტორს.

- დამხმარე ვიზუალური საყრდენების გამოყენება;

პროფესიული ტესტირებისთვის ძირითად აქტივობად, კედელზე კაფელის გაკვრა შეირჩა, რომელიც თავის თავში შემდეგ ნაბიჯებს მოიცავდა: კაფელის სიდიდის მიხედვით გამოჭრა, ნარევის მოზელა, შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა და კაფელის კედელზე გაკვრა. პროფესიულ მასწავლებელს დემეტრესთვის შესასრულებელი აქტივობის დემონსტრირება უნდა მოეხდინა და ეტაპობრივად ჩაერთო შესრულებაში.

პროფესიული ტესტირების დასრულების შემდეგ, ტესტირების კომისიის წევრები სამომავლო სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდნენ:

- ✓ კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი პასუხისმგებლობას აიღებს დემეტრეს საწარმოო პრაქტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის გეგმის შედგენასა და მიყოლაზე.
- ✓ ადმინისტრაციის წარმომადგენელი პასუხისმგებლობას აიღებს დამატებითი მომსახურების უზრუნველყოფაზე (ტრანსპორტირებისას დამხმარე პირის დაქირავება, რომელიც უზრუნველყოფს დემეტრესთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით დამოუკიდებლად გადაადგილების სწავლებას).
- ✓ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი პასუხისმგებლობას აიღებს მასწავლებელთან ერთად სწავლა-სწავლების პროცესში გასათვალისწინებელ საკითხებზე (მაგ.: ახალი სასწავლო რესურსების მომზადება, დავალებების ადაპტირება და სხვა).

სასწავლო პროცესის მორგება

სწავლის დაწყებიდან 4 კვირის შემდეგ, მასწავლებლების, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებისა და ასისტენტის მიერ წარმოებული დაკვირვების შედეგად, შემდეგი საჭიროებები გამოვლინდა:

- დემეტრეს გარკვეული სირთულეები აქვს ახალი ინფორმაციის გაგებასთან დაკავშირებით;
- სპეციფიკური ხელშეწყობა სჭირდება ყურადღების კონცენტრირებაში, გადართვასა და განაწილებაში;
- ვლინდება საჭიროებები ვერბალური მეხსიერების კუთხით (ვერბალურად მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრებაში);
- საუბრისას უჭირს საჭირო სიტყვების გახსენება;

ამასთანავე, აკადემიურ უნარებში არსებული სირთულის გამო, გამოვლინდა, რომ სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტული მოთხოვნები (შედეგები, შესრულების კრიტერიუმები, კომპეტენციის პარამეტრები) სცილდება დემეტრეს განვითარების უახლოეს ზონას და მათი მიღწევა სასწავლო პროგრამის აკომოდაციის ყველა საშუალების გამოყენების შემთხვევაშიც კი ნაკლებ მოსალოდნელია. შესაბამისად, დაიგეგმა დემეტრესთვის მოდიფიცირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

მეფილე-მომპირკეთებლის სპეციალობის თითოეულმა მასწავლებელმა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად, ცალკეულ საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიმუშავეს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას, მასწავლებლებმა საგნის სტანდარტული ჩანაწერის ფორმით იხელმძღვანელეს.

დემეტრეს სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული ძირითადი ცვლილებები 3 მიმართულებით განხორციელდა: 1. შემცირდა და შინაარსობრივად შეიცვალა სასწავლო მიზნები; 2. შეიცვალა შეფასების ფორმა და 3. დაემატა სწავლების სპეციფიკური მეთოდები.

დემეტრესთვის სასწავლო პროგრამისა და პროცესის მორგების მაგალითი:

პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნები	დემეტრეს ინდივიდუალური პროფესიული სასწავლო მიზნები
1. შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა; 2. მოპირკეთებისათვის საჭირო მექანიზმების და ინსტრუმენტების ცნობა და დანიშნულებისამებრ გამოყენება; 3. ფილებით კედლის მოპირკეთება; 4. რბილი იატაკების მოწყობა დადგენილი წესებით, შრომისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების წესების დაცვით;	• არჩევს შესაბამის სამოსს; • სხვისი შეხსენებით, ითვალისწინებს უსაფრთხოების წესებს. • უსაფრთხოდ იყენებს ფილის დასაჭრელ იარაღებს; • უსაფრთხოდ იყენებს ფილის დასაგებ იარაღებს; • ფილებს ამაგრებს მაცემენტებელი ხსნარით და მასტიკით; • შეუძლია ნაკერების შევსება და გამკვრივება; • შეუძლია მოპირკეთებული ზედაპირების გალესვა; • შესაბამისად იყენებს არაორგანული შემკრავი ნივთიერებების სახეობებს; • შეუძლია სხვის მიერ შემუშავებული ფილების წყობის დაგება;
შეფასების მორგება: გამომდინარე იქიდან, რომ დემეტრეს უჭირს აზრის როგორც წერილობით, ასევე, ზოგ შემთხვევაში ზეპირადაც გადმოცემა/მოყოლა და შესრულების ტემპი საკმაოდ ნელი აქვს, მისი შეფასებისა და შედეგის დადასტურებისთვის შეირჩა: • პრაქტიკული დემონსტრირება ტესტირების ან ზეპირი გამოცდის ნაცვლად; • დავალების შესრულებისთვის გამოყოფილი დროის გაზრდა;	
სწავლების პროცესში რეკომენდირებული სტრატეგიები: • ვიზუალური მინიშნება; • ფიზიკური დახმარება; • ინფორმაციის გამეორება; • ნიმუშის გამოყენება; • ინსტრუქციის დანაწევრება; • ტექსტის ლექსიკის გამარტივება; • მასალის გამარტივება; • ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა; • მოქმედებების დაგეგმვისთვის ვიზუალური საყრდენის გამოყენება;	

სასწავლო პროცესში დემეტრეს ხელშეწყობა რამდენიმე ფორმით განხორციელდა:

1. იმის გათვალისწინებით, რომ დემეტრეს წერა-კითხვისა და წაკითხულის გააზრების სირთულე ჰქონდა, პროფესიული პროგრამის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ ერთობლივად მომზადდა დამხმარე სასწავლო რესურსი (*იხილეთ დანართი NI*), შეთანხმდა სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები.
2. დაიგეგმა რეგულარული დაკვირვება/შეფასება სასწავლო პროცესზე, რაც მასწავლებლებსა და სპეციალისტებს მიმდინარე საჭიროებების აღმოჩენისა და მათზე დროული რეაგირების შესაძლებლობას აძლევდა.
3. ფუნქციური დამოუკიდებლობისთვის, შენობის სივრცეში გაკეთდა *ვიზუალური მიმანიშნებლები*; მოხდა დემეტრეს ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.
4. სახელოსნოში დაზგა-დანადგარების ორგანიზება მარკირებით მოხდა, სათავსოებზე გაკეთდა შესაბამისი წარწერები, რაც დემეტრეს თვით-ორგანიზებასა და ორიენტაციაში ეხმარებოდა.
5. პროგრამის ფარგლებში არსებული ლიტერატურა შედარებით მარტივი ენით მომზადდა და კურსის საკითხავი წიგნად გაერთიანდა. ამასთანავე, თან შესაბამისი თვალსაჩინო მასალაც დაერთო. აღნიშნული საკითხავი მასალა, არამარტო დემეტრესთვის, არამედ ყველა სტუდენტისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

პროფესიული ორიენტაცია აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს პროფესიული განათლების უზრუნველყოფის პროცესში. მაშინაც კი, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი კონკრეტული პროფესიული ინტერესით მიმართავს პროფესიულ სასწავლებელს, მნიშვნელოვანია შესაბამისი ძალისხმევის გაწევა აპლიკანტის პროფესიული ინტერესების გასაფართოებლად და მაქსიმალურად ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშესაწყობად.

ამასთანავე, ხარისხიანად წარმართული პროფესიული ორიენტაციის პროცედურა, პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლებსა და სპეციალისტებს აპლიკანტის უკეთ გაცნობისა და მისი ძლიერი მხარეების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს, რაც მომავალში, სტუდენტზე მაქსიმალურად მორგებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

დანართი - დამხმარე სასწავლო რესურსი

1. სამუშაო იარაღები - გამომდინარე იქიდან, რომ დემეტრეს უჭირდა ახალი ინფორმაციის დამახსოვრება, მომზადდა სამუშაო იარაღების პოსტერი, რომელზეც იარაღების ქართული დასახელების გარდა, ინგლისურენოვანი დასახელებებიც იყო წარმოდგენილი. ერთ-ერთ სასწავლო ამოცანას, სტუდენტებისთვის ძირითადი იარაღების ინგლისურენოვანი დასახელებების სწავლება წარმოადგენდა.



2. უსაფრთხოების წესები - გამომდინარე იქიდან, რომ დემეტრეს შეეძლო მარტივი ტექსტის კითხვა, მისთვის შედარებით მარტივი სახით მომზადდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და განთავსდა ძირითად სასწავლო სივრცეში. აღნიშნული პოსტერი სასარგებლო რესურსად განისაზღვრა სხვა სტუდენტებისთვისაც.

შსპ ფრთხილუბის წესები სამშენებლო მოედანზე
Safety rules for the construction site

မိမိတို့၏ အားကိုး နှစ်သက်သော အမေရိကန် သမ္မတ ဒေါ် ဟိလာရီကလိနတန်

[illegible][illegible][illegible][illegible]

დამწვერი ნიღბები, ტოქსიკური ნივთიერებები თან და ვაშლის ნულებთან შეშთან თანას გამოიყენებოდა უამრავი რაოდენობით.

დავით აღმაშენებლის ძეგლი, რომელიც 1990 წელს დაიწყო მშენებლობა, დღემდე არ არის დასრულებული. ამის მიზეზები რამდენიმეა: ერთ-ერთი მათგანია, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებით. მეორე მათგანია, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებით. მესამე მათგანია, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებით.

[illegible]

குடிபட்ட நுகர்வோரை கிடைசு குடிசைகளிலிருந்து விரைவில் விரட்டிவிடுவோம்.

სწორედ ასევე ხდება მე. თუ, რომ ის აწვევოდას ფერებს და არა სურნავსა ღეს, სიმძვინს აწვევს ის მე რეი
და გარეულია ზნეა და ცხელ, მუხლზე მისი რელია, დაუფ აწვევს. თუ ტერიორი ძალა იან მძიმეა, ითხოვს: დახმარება.
მეტი დროლია. მომდგომი ტრადიციის 20 %-ს მთავრს სიმძვინს მის აწვევა.

ප්‍රති-පවුරායාත්-පාලනය හි තොරතුරු ප්‍රති-පවුරායාත්-පාලනය හි තොරතුරු ප්‍රති-පවුරායාත්-පාලනය හි තොරතුරු

სამთავრომ მოუწოდებდა ხშირად, გასული კვირების კიბე - ქვემოთ მოცემული ვისაფრით ოქტომბრის ბოლომდე დაეცდით მუშაობაზე ღია კიბით ხარკი ებლომისათვის დაეკავშირებული უნდა იყოს მუშათა კუბის დადგენა ან იმდენი.

[illegible]

உயர்நீதிமன்றம் தீர்ப்பளிக்கும் வரை கைது செய்யப்படும் என்று தெரிவித்துள்ளது.

[illegible][illegible]

3. ფილებით კედლის მოპირკეთების თანმიმდევრობა - გამომდინარე იქიდან, რომ დემეტრეს უჭირდა მოქმედებების დაგეგმვა, მისთვის მომზადდა სამუშაო პროცესის თანმიმდევრული მოქმედებების ვიზუალური საყრდენი.



შემთხვევა N 5



ინკლუზიური პროფესიული განათლება პროფესიული
ორიენტაციის გარეშე - შედეგები და გამოსავალი

შემთხვევა აღწერს, თუ რა შედეგი შეიძლება გამოიღოს სტუდენტის მიერ არაინფორმირებულმა გადაწყვეტილებამ პროფესიულ სასწავლებელში პროფესიის არჩევის დროს. როგორ შეიძლება პრობლემის იდენტიფიცირება, ჩარევა და უკეთესი გამოსავალის მიღება.

აღნიშნულ შემთხვევაში, პროფესიული სასწავლებლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების, პროფესიული მასწავლებლების და მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ განხორციელებულმა ინტერვენციამ საშუალება მისცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს არ შეეწყიტა აკადემიური აქტივობა და დაუფლებოდა მინიმალურ კომპეტენციას სპეციალობის ფარგლებში. ამავდროულად, დაიგეგმა ნაბიჯები სტუდენტის შესაძლებლობებისა და რეალური ინტერესის გამოსარკვევად. ასევე, შემდგომი მიღებისათვის, გააზრებულად შერჩეულ სპეციალობაზე ტრანზიცია.

ზოგადი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ

დავითის ⁶ სამედიცინო დიაგნოზია ნეიროსენსორული ხასიათის IV ხარისხის სმენის დარღვევა. ასევე, მსუბუქი ხარისხის ინტელექტუალური დარღვევა. ის ცხოვრობს ერთ-ერთი რეგიონის სოფელში ოჯახთან ერთად. პროფესიულ კოლეჯში ჩაბარებამდე დავითმა არ იცოდა ჟესტური ენა, სმენის აპარატს ატარებდა მხოლოდ ცალ ყურზე, თუმცა, აპარატის მოუხედავად უჭირდა ზეპირი მეტყველების გაგება; ნათქვამის რამდენჯერმე გამეორებით. ოჯახის წევრებთან კომუნიკაციისთვის დავითი, ძირითადად, სხეულის ენას და თავის შექმნილ ჟესტებს იყენებდა, მაგრამ ინტერაქცია მაინც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა.

რაც შეეხება აკადემიურ უნარებს, დათომ არ იცოდა კითხვა, არ შეეძლო დამოუკიდებლად წერა, მხოლოდ გადაწერას ახერხებდა; ცნობდა რიცხვებს.

⁶ კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, სტუდენტის სახელი შეცვლილია

ბუნებით მორიდებული, კეთილგანწყობილი და დაუზარელია. ყოველთვის სიამოვნებით ერთვება საოჯახო საქმეებში.

9 კლასის დასრულების შემდეგ, მისმა ოჯახმა თანასოფელისგან შეიტყო პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ.

სპეციალობის არჩევა

პროფესიულ პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, დავითმა პროფესიულ სასწავლებელს ბებიასთან ერთად მიაკითხა. არჩევანი მზარეულისა და ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალობას შორის მერყეობდა. აპლიკანტის კომუნიკაციის პრობლემის გამო, საბოლოო გადაწყვეტილება ბებია მძიმედ და დავითის კომპიუტერისადმი ინტერესის გათვალისწინებით, რეგისტრატორს ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალობა დაარეგისტრირებინა.

პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებელში რეგისტრაციის შემდეგ, დავითმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასება გაიარა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შედეგად, პროფესიული ტესტირება ალტერნატიული ფორმით ჩააბარა.

სასწავლო პროცესში გამოვლენილი სირთულეები

დავითის ოჯახის მიერ შერჩეული სპეციალობა აღმოჩნდა cisco-ს ქსელური აკადემიის პროგრამაში ჩართული, რაც გარდა იმისა, რომ სტანდარტულზე უფრო მაღალ კომპეტენციებს გულისხმობს, ასევე, გულისხმობს სასწავლო მასალისა და შესაბამისი დავალებების, ტესტების ელექტრონულ ფორმატში შესრულებას. ეს კი ფიზიკურად შეუძლებელს ხდიდა სასწავლო მასალის რაიმე სახის მოდიფიცირებას. კითხვის პრობლემის გამო, დავითს არ შეეძლო მოცემული ინფორმაციის წაკითხვა. ხოლო კომუნიკაციის სირთულის გამო, სასწავლებელს არ შეეძლოთ ქსელის აგების, დაგეგმვისა და პროექტირების შესახებ რაიმე ტიპის ინფორმაციის გაზიარება, ან

ახსნა. შედეგად, ვერ ხერხდებოდა დავითის ჩართვა სასწავლო პროცესში, რამაც მისი სწავლისადმი დემოტივაცია გამოიწვია. პედაგოგის მცდელობას, მასალის მცირე ნაწილი მაინც აეხსნა მოდელირებით, ინტერესით არ პასუხობდა, არც ინიციატივას გამოხატავდა. როდესაც სხვა სტუდენტები საკუთარ კომპიუტერთან მუშაობდნენ მასწავლებლის ინსტრუქტაჟით, დავითი უბრალოდ იჯდა ჩართულ ეკრანთან და ელოდებოდა ლექციის დასრულებას.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა და პროფესიული მასწავლებლების ინტერვენცია

დავითის სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გამო, შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.

ერთობლივი მსჯელობის შედეგად გადაწყდა დავითისთვის პროფესიული ორიენტაციის პროცედურის დაგეგმვა და შემდგომი მიღებისთვის სპეციალობის გააზრებული არჩევის, ინფორმირებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფა.

ამის პარალელურად, შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ სტუდენტისათვის ელემენტარული კომპიუტერული უნარ-ჩვევების სწავლებაზე ადაპტირებული ლექციის გზით. გარდა ამისა, ჟესტური ენის სპეციალისტის ჩართვაზე, სტუდენტისათვის მინიმალური საკომუნიკაციო და პროფესიული ტერმინოლოგიის სწავლების მიზნით. ამ გადაწყვეტილების საბოლოო მიზანს წარმოადგენდა როგორც სტუდენტის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული პროფესიის შერჩევა, ასევე, მისი პროფესიული კომპეტენციების, თუნდაც მინიმალურ დონეზე, გაძლიერება და მომზადება ახალი სპეციალობის დასაუფლებლად.

სპეციალისტებისა და დავითის ოჯახის წარმომადგენლების მიერ, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არამიზნობრივად განისაზღვრა, რადგან სტუდენტური ცხოვრება

დავითს საშუალებას აძლევდა შეესწავლა ჟესტური ენა და ელემენტარული კომპიუტერული უნარ-ჩვევები, რაც ნებისნირი სხვა სპეციალობის დაუფლებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამასთანავე, პროფესიულ სასწავლებელში ყოველდღიური სიარული, ხელს უწყობდა დავითს ასაკობრივი რუტინის შენარჩუნებაში, ახალ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციასა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაში (დავითმა დაიწყო ტრანსპორტის დამოუკიდებლად გამოყენება, სახლს გარეთ დამოუკიდებლად გადაადგილება); გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სტუდენტის ემოციურ მდგომარეობა (ოჯახის წევრების თქმით, დავითი გახდა უფრო ხალისიანი, ინიციატივით, თამამი და მონდომებული).

პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვა

კომუნიკაციის პრობლემის გამო, პროფესიული ორიენტაციის პროცესში გამოირიცხა დამხმარე კითხვარების გამოყენება და ინფორმაციის სიტყვიერად მიწოდება. შესაბამისად, დაიგეგმა შემდეგი ნაბიჯები:

1. ოჯახის წევრებთან გასაუბრება იმ საქმიანობების და აქტივობების გამოსავლენად, რაც დავითს მოსწონს, ან კარგად გამოსდის;
2. კითხვარის დასურათებული ვერსიის მომზადება;
3. კოლეჯში არსებული სპეციალობების პრაქტიკულად მოსინჯვის შესაძლებლობის მიცემა.

ოჯახის წევრებთან - ბებიასთან, დედასთან და მამასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა დავითის ინტერესები:

- მიწის დამუშავების მიმართ - მას გამოსდის მიწაზე სამუშაო ინსტრუმენტებით მანიპულაცია (ბარი, თოხი და ა.შ.);

- სამზარეულოს აქტივობების მიმართ - კარგად ფლობს სამზარეულო დანას, ეხმარება დედას სადილის მომზადების პროცესში, შეუძლია ბოსტნეულის დაქუცმაცება;
- სარემონტო სამუშაოების მიმართ - მამამ გაიხსენა, რომ სამზარეულოს რემონტის დროს დავითი დიდი სიხარულით ეხმარებოდა მუშებს ცემენტის მორევაში და ფილების დასაგებად მომზადებაში.

პროფესიულ სასწავლებელში სხვადასხვა სპეციალობის პრაქტიკულ აქტივობაზე დასწრება ცხრილის გათვალისწინებით, 3 კვირაზე გადანაწილდა. ჩამონათვალში შევიდა შემდეგი სპეციალობები:

1. დურგალი
2. მზარეული
3. ფილამწყობი
4. სავალი ნაწილების ტექნიკოსი
5. მემინანქრე
6. ტრქატორ-მემანქანე

სტუდენტის განწყობისა და ინტერესის შესაფასებლად მომზადდა ილუსტრირებული შეფასების სისტემა (იხ. დანართი N1).

პროფესიული ორიენტაცია

შერჩეულ 6 სპეციალობაზე დასწრება თანმიმდევრობით ხდებოდა. ზოგიერთ სპეციალობაზე სტუდენტი პირველივე ჯერზე ამბობდა უარს, ხოლო დურგალის, მზარეულისა და ფილამწყობის საქმიანობისადმი გამოვლენილი ინტერესის გამო, მათზე დასწრება და პრაქტიკული მოსინჯვა რამდენჯერმე განხორციელდა.

ყველაზე მეტი ენთუზიაზმი და ინტერესი, დავითმა მზარეულისა და ფილამწყობის საქმიანობის მიმართ გამოიჩინა. ინტერესის დავიწროვების შემდეგ, საბოლოო გადაწყვეტილების გასამყარებლად, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მეწეჯერის დახმარებით, დაიგეგმა ვიზიტი პოტენციური დასაქმების

ადგილას პარტნიორ კომპანიაში. აღნიშნული ვიზიტის შედეგად, დავითს ცალკეულ სპეციალობაზე უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნა.

დასაქმების ადგილების მონახულების შემდეგ, დავითმა შეძლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და შეთავაზებული სპეციალობებიდან მზარეულის საგანმანათლებლო პროგრამა ამოირჩია.

ქესტური ენის სპეციალისტის ჩართვა

ქესტური ენის სპეციალისტის პოზიციაზე გასაუბრება პროფესიულმა კოლეჯმა იმავე თვეში გამოაცხადა. შერჩეულმა კანდიდატმა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა ერთობლივად შეარჩიეს დავითისთვის სასწავლო პროგრამა და ინდივიდუალური მეცადინეობების გრაფიკი შეადგინეს. გადაწყდა, რომ მეცადინეობა შედგებოდა ყოველდღიურად და სწავლების პროცესში გამოყენებული იქნებოდა დამხმარე ვიზუალური მასალა.

გამომდინარე იქიდან, რომ დავითს პროფესიული ორიენტაცია ჩაუტარდა და კონკრეტული სპეციალობა ჰქონდა არჩეული, შესაძლებელი გახდა სასწავლო თემატიკისა და ქესტურ ენაზე სასწავლო კონკრეტული პროფესიული ლექსიკის განსაზღვრა. აღნიშნული მიზნისთვის, კოლეჯის სპეციალისტებმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „საქართველოს ყრუთა კაშირთან“ თანამშრომლობით შექმნილი ქართული ქესტური ენის ელექტრონული ბანკი “SignWiki” (http://ge.signwiki.org/index.php/Main_Page). გამოიყენეს, რომელიც სხვადასხვა პროფესიისთვის და მათ შორის მზარეულის საქმიანობისთვის სპეციფიკური ტერმინების ქესტურ შესაბამისობებს აერთიანებს. “SignWiki” მნიშვნელოვანი რესურსი გამოდგა სწავლა-სწავლების პროცესში როგორც ქესტური ენის სპეციალისტისთვის, ასევე, თავად დავითისთვის, რადგან ძირითადი პროფესიული ტერმინოლოგია ერთად არის თავმოყრილი და თითოეული პროფესიული ტერმინი სიტყვის ორთოგრაფიული ხატის, ფოტოს და შესაბამისი ქესტის ამსახველი ვიდეო რგოლის სახით არის წარმოდგენილი (იხ. დანართი N2).

ადაპტირებული ლექციის გეგმა კომპიუტერის დასაუფლებლად

საგნის პედაგოგისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების თანამშრომლობით, გაიწერა ის მინიმალური კომპეტენციები, რომლებიც დავითს კომპიუტერის გამოყენების კუთხით უნდა შეეძინა, როგორცაა:

- კომპიუტერის ჩართვა, გამორთვა
- საქალაქის შექმნა, დასათაურება
- კომპიუტერის ენის შეცვლა
- ვორდის ფაილზე მუშაობა:
 - ვორდის ფაილის გახსნა
 - ვორდის ფაილში ტექსტის აკრეფა
 - ვორდის ფაილის შენახვა
 - ფონტის გაზრდა, დაპატარავება, გამუქება, დახრა, ხაზგასმა
 - ვორდის ფაილში ფოტოს ჩასმა
- ინტერნეტი
 - ბრაუზერის გახსნა
 - საძიებო სისტემაში საძიებო სიტყვის ჩაწერა და ძებნა
 - საძიებო სიტყვაზე ფოტოს მოძიება
 - ფოტოს შენახვა

ლექციის დაწყებისას, პედაგოგი პრაქტიკულად, მოდელირებით უხსნიდა დავითს კონკრეტულ მოქმედებას კომპიუტერში. შემდეგ, აძლევდა დავალებას, მაგ: ნიმუშის მიხედვით ტექსტის აკრეფა (მაგ.: რაიმე კერძის რეცეპტი), ან მანიპულაციის გაკეთება ნაბეჭდ ტექსტზე (გამუქება, დახრა..) და ა.შ. ახალი ინფორმაციის დამახსოვრების მიზნით, პედაგოგი სტუდენტს აძლევდა ოპერაციის ვიზუალურ გამოსახულებას (იხ. დანართი N3). ამის შემდეგ, პედაგოგი აგრძელებდა ლექციის სტანდარტულ მსვლელობას და პერიოდულად, დანარჩენი სტუდენტებისათვის მათთვის განკუთვნილი დავალების მიცემის შემდეგ, ამოწმებდა დავითის მიერ მიცემული ინსტრუქციების შესრულებას. პირველ ეტაპზე, სალექციო პროცესში დავითს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი უწევდა დახმარებას დავალების შესრულებასა და ცოდნის განმტკიცებაში. გარკვეული დროის შემდეგ, სტუდენტი საგნის მასწავლებლის ინსტრუქციებს და მიცემულ დავალებებს დამოუკიდებლად ასრულებდა.

ამჟამად ...

ამჟამად, დავითს ჟესტურ ენაზე ათვისებული აქვს როგორც საკუთარი ემოციებისა და მოთხოვნილებების გამოხატვისათვის, ისე მზარეულის სპეციალობისათვის საჭირო ხილის, ბოსტნეულის და პროფესიასთან დაკავშირებული სხვადასხვა მანიპულაციის აღმნიშვნელი გარკვეული რაოდენობის ჟესტი; გარდა ამისა, შეუძლია კომპიუტერის დამოუკიდებლად ჩართვა-გამორთვა, მცირე ტექსტის ნელი ტემპით აკრეფა ნიმუშის მიხედვით, ვორდის დოკუმენტის შექმნა და სხვადასხვა ოპერაციის შესრულება.

დავითი ბედნიერად გრძნობს თავს, რომ შეძლო მისთვის სასურველი პროფესიის შერჩევა და მოუთმენლად ელოდება პროფესიულ განათლებაში შემდეგ მიღებას, საკუთარი გადაწყვეტილების დასაფიქსირებლად და სწავლის კიდევ უფრო მეტი მონდომებით გასაგრძელებლად.

ამრიგად, ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში გააზრებული გადაწყვეტილების, პროფესიული ორიენტაციის გარეშე მოხვედრამ შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენოს სტუდენტის მოტივაცია, მონდომება, თვით-რწმენა და ახალი საქმიანობის შეძენის რეალური პერსპექტივა. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პრობლემის დროული იდენტიფიკაცია და ოპტიმალური გამოსავლის მოძიება - სტუდენტისათვის ყველა პირობის შექმნა, რომელიც მისთვის საუკეთესო არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება და ახალ შესაძლებლობებითა და რეალიზების საშუალებით უზრუნველყოფს.

დანართი N1



3



2



1



3



2



1



3



2



1



3



2



1



3



2



1



3




2



1


დანართი N2




კომპიუტერის გამორთვა

- 
- 
- 

საქალაქის შექმნა



საქალაქის დასათაურება



ტექსტის გამუქება

